ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 28 თებერვალი, 2017 №49 (7284) ფასი: 50 თეთრი

## ალეკო ელისაშვილი: „ნარმანიამ თავის „ორმო შოუს" მიხედოს"



გვ.4

28 თებერვლიდან

ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი



# ადვოკატი: „მამა გიორგი მამალაძემ ჩვენებაში რამდენიმე პირი დაასახელა"



გვ.2

სოსო ოხანაშვილი გამოძიების ფარგლებში ერთხელ უკვე დაიკითხა. შესაძლოა, ეს კიდევ გახდეს საჭირო. თუკი ჩვენთვის საინტერესო კონკრეტული საკითხები გამოიკვეთება, შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ.



## გიორგი კვირიკაშვილი: „დღეს არსად ისე, როგორც საქართველოში, ძლიერია ევროპული სულისკვეთება"



გვ.5

## თორნიკე შარაშენიძე: „აფხაზეთის რკინიგზის გახსნა დაუშვებელია"



გვ.3

მთავრობა: „აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში არ დგას"

## შოთა მალაშხია: „ესენი სერგო ორჯონიკიძეზე უარესები არიან"



გვ.5

## სოზარ სუბარი: „ამ საქმეში ყველა დეტალი ვერ გამჟღავნდება"



გვ.3



## „რუსთავი 2"-ის საქმეზე აცილებას ორივე მხარე ითხოვს



სოფელ ხოვლეს ტყეში ტყის მცველი გარდაცვლილი იპოვეს



გვ.7



შსს 104.260 კგ შოკოლადს და 125 კგ კარამელს ყიდულობს



გვ.6

## მაია მელიქიძე: „კომპანიებში იგეგმება საკადრო შემცირებები"

პირველი ქართული ვისკი „ჯიმშერი" ბაზარზე ერთ კვირაში გამოჩნდება






რუსულ კომპანიებს ქართული ღვინის ბაზარზე აქტივების შეძენა და გაფართოება სურთ

ISSN 1987-9385

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ადვოკატი: „მამა გიორგი მამალაძემ ჩვენებაში რამდენიმე პირი დაასახელა“

შორენა მარსაგიშვილი





პროკურატურამ, როგორც იქნა, დაკითხა ციანიდის საქმეზე დაკავებული მამა გიორგი მამალაძე.

დაკითხვის დეტალები არ ხმაურდება. ადვოკატების განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი უნდა შეეცვალოს. პროკურატურა ბრალის შეცვლას არ აპირებს. მეტიც, საგამოძიებო უწყებაში სხვა პირების დაკავებას არ გამორიცხავს.

ადვოკატ გიორგი ფანცულაიას განცხადებით, დეკანოზმა გიორგი მამალაძემ საკუთარ ჩვენებაში რამდენიმე სახელი და გვარი დაასახელა. ამ ეტაპზე ის არ აკონკრეტებს, თუ ვისზე ისაუბრა დაკითხვისას დეკანოზმა.

გავრცელებული ინფორმაციით, დაკითხვაზე საუბარი იყო შორენა თეთრუაშვილზეც. ადვოკატის განმარტებით, თეთრუაშვილზეც დაისვა კითხვები, თუმცა რა ფორმით იყო დასმული შეკითხვები, მას არ დაუკონკრეტებია.

ადვოკატის თქმით, მამა გიორგი მამალაძის ჩვენების შემდეგ, ბრალის შინაარსობრივი მხარე მთლიანად უნდა შეიცვალოს და მათ შორის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს თავად მისი ბრალეულობა.

ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი, სოსო ოხანაშვილი დააკავონ, რომელიც მამა გიორგის ახლობელია.

ამ ინფორმაციაზე კომენტარი მთავარი პროკურორის მოადგილემ გიორგი გოგაძემ გააკეთა.

– გამოძიების პროცესში ვერავის დაკავებას ვერ გამოვრიცხავ, – აღნიშნა გოგაძემ.

მისი თქმით, თუკი დადგება მტკიცებულებები ნებისმიერი პირის მიმართ, რომ მას ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, შესაბამისი რეაგირება მოხდება. აქვე გოგაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღნიშნულ განმარტებას ის აკეთებს ზოგადად და არა კონკრეტულად სოსო ოხანაშვილთან დაკავშირებით.

– სოსო ოხანაშვილი გამოძიების ფარგლებში ერთხელ უკვე დაიკითხა. შესაძლოა, ეს კიდევ გახდეს საჭირო. თუკი ჩვენთვის საინტერესო კონკრეტული საკითხები გამოიკვეთება, შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ, -– განუცხადა ჟურნალისტებს გიორგი გოგაძემ.

მთავარი პროკურორის მოადგილე ციანიდის საქმეზე სახალხო დამცველის შეფასებებსაც გამოეხმაურა.

მისი თქმით, სახალხო დამცველის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები არის ცალმხრივი, რადგან მას პროკურატურისათვის არ მიუმართავს და პროკურატურისგან ინფორმაცია არ გამოუთხოვია.

* * *

ამ საქმის მთავარი მოწმე ჟურნალისტი ირაკლი მამალაძეა, რომელსაც, სხვების მსგავსად, გაუთქმელობის ხელწერილზე აქვს ხელი მოწერილი. ამის მიუხედავად, ის მედიასთან მაინც საუბრობს.

ირაკლი მამალაძის ინფორმაციით, ბრალდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე საპატრიარქოში პალატის მოწყობას გეგმავდა, სადაც პატრიარქს მოათავსებდნენ და იქ არავის შეუშვებდნენ.

ამის შესახებ მამალაძე „ასავალ-დასავალს“ ესაუბრა და აქვე დასძინა, რომ პროკურატურამ გამოძიება მისი განცხადების საფუძველზე დაიწყო.

– დეკანოზი გიორგი მამალაძე ჩემი ძმისშვილის ნათლიაა. პროკურატურას ყველა მტკიცებულება აქვს, თუმცა, გეტყვით, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო მტკიცებულება ვიდეოჩანაწერია, რომელიც საშინლად მძიმე მოსასმენია, რადგან ასახავს მკვლელობის მომზადების მთელ პროცესს.

ბოლო პერიოდში მამა გიორგისთან აქტიურად ვთანამშრომლობდი. იგი მაწვდიდა მნიშვნელოვან ინფორმაციებს საპატრიარქოს შიგნით მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რასაც მე სოციალურ ქსელში და პრესაში ვაქვეყნებდი. რატომღაც შთაბეჭდილება შემექმნა და დავიჯერე, რომ მამა გიორგი და მისი თანამოაზრეები კარგ საქმეს აკეთებდნენ, ჯანსაღი გეგმები ჰქონდათ და მხოლოდ ეკლესიაზე ზრუნვა ამოძრავებდათ. მოკლედ, მათ ძალიან ვენდობოდი და თვითონაც მენდობოდნენ.

თუმცა, ამ ადამიანებთან ურთიერთობაში ისეთი მომენტიც „დავიჭირე“, რომელიც ძალიან მეხამუშა და არ მომეწონა. მაგალითად, ერთ-ერთი საუბრის დროს კითხვა დავსვი – პატრიარქი ასე ცუდად რომ არის, საზღვარგარეთ რატომ არ მიჰყავთ-მეთქი? ამაზე ერთ-ერთმა ხელის აქნევით მიპასუხა – უჰ, ძალიან ძვირი ჯდებაო.

მეუფე პეტრე პირდაპირ კავშირშია ამ წრესთან. მამა გიორგის ადვოკატიც მეუფე პეტრემ აუყვანა, – განაცხადა მამალაძემ.

მისივე განცხადებით, დეკანოზი გიორგი მამალაძე საპატრიარქოში პატრიარქისთვის პალატის მოწყობას გეგმავდა.



– ცოტა ხნის წინათ, როცა პატრიარქი თავს შეუძლოდ გრძნობდა, მამა გიორგი მამალაძემ თქვა, საპატრიარქოში მესამე სართულზე უნდა მოვაწყოთ პალატა, აპარატურას მე მოვიტან, პატრიარქი იქ მოვათავსოთ და მასთან არავინ უნდა შევუშვათო. ამაში სხვებიც დაეთანხმნენ მამა გიორგის. ჩემთვის გაუგებარი და შემაშფოთებელი იყო ისიც, რომ გიორგი მამალაძე და მასთან დაკავშირებული პირები მუდმივად ზრუნავდნენ, რომ მედიაში გაეჟონა ინფორმაციას, თითქოს პატრიარქი ძალიან ცუდად, ძალიან მძიმედ იყო, – აღნიშნა მამალაძემ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## მამა დავით შარაშენიძე: „ბეჭედი არ დაკარგულა, გაუგებრობა მოხდა“



– ბეჭედი არ დაკარგულა, უბრალოდ გაუგებრობა მოხდა.

ამის შესახებ საპატრიარქოს პრესსამსახურის უფროსმა, მამა დავით შარაშენიძემ განაცხადა.

მისი თქმით, არსებობს ორი ბეჭედი. ერთ-ერთი მათგანი პატრიარქს ეკუთვნის, ხოლო მეორეს, საპატრიარქოში უწმინდესის არყოფნის დროს, მისი ნდობით აღჭურვილი პირი იყენებს.

– ორივე ბეჭედი თავის ადგილზეა. რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ორი ბეჭედია, ერთი რომელიც უშუალოდ პატრიარქს აქვს მუდმივად და ამ ბეჭდით ხდება ქონებრივი საქმიანობის განხორციელება, გადარიცხვების და სხვა საქმიანობის შესრულება.

არსებობს მეორე ბეჭედი, ეს არის ჩვეულებრივი ადმინისტრაციული მომსახურების ბეჭედი, როცა პატრიარქი ან არ იმყოფებოდა საქართველოში, ან საპატრიარქოს შენობაში. მის მიერ გამოყოფილი პიროვნება, რომელიც არის ნდობით აღჭურვილი პირი, ამ ბეჭედს გამოიყენებს, ოღონდ პატრიარქთან შეთანხმებით და არა პირადი გადაწყვეტილებით, – განაცხადა მამა დავით შარაშენიძემ.

ჟურნალისტების კითხვაზე, არის თუ არა ეს პირი შორენა თეთრუაშვილი, შარაშენიძემ უპასუხა, რომ შესაძლებელია იყოს შორენა თეთრუაშვილი ან სხვა ნდობით აღჭურვილი პირი.

მისი თქმით, ბეჭდვის დაკარგვას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, მოხდა გაუგებრობა.

– გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ მეუფე გერასიმე დაინიშნა გერმანიის მიტროპოლიტად და ბეჭედი იქნა დასმული საქართველოში მაშინ, როდესაც მისი უწმინდესობა იმყოფებოდა ბერლინში. ეს მოხდა უწმინდესობასთან შეთანხმებით, მეუფე გერასიმე იმყოფებოდა გერმანიაში და უნდა შეხვედროდა ადგილობრივ მღვდელმსახურებს, მას უნდა ჰქონოდა შესაბამისი სტატუსი. მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო მოხდა ეს, – განაცხადა მამა დავით შარაშენიძემ.

მისი თქმით, ფაქსიმილესა და ჩხრეკასთან დაკავშირებული აბსურდი არის ადამიანების მიზანმიმართული ქმედება, რომლებიც ცდილობენ, საზოგადოება კიდევ უფრო დაძაბონ.

– საპატრიარქოს ჩხრეკასა და იარაღის არსენალთან დაკავშირებული ინფორმაცია ადამიანების ბოროტი ფანტაზიაა არანაირი ჩხრეკა, მსგავსი სამართლებრივი მოქმედება საპატრიარქოში არ ჩატარებულა, – განაცხადა მამა დავით შარაშენიძემ.

მან აღნიშნა, რომ ესუბრა მისი უწმინდესობის დაცვის უფროს ზურაბ ბუჩუკურს, ასევე დაცვის სხვა წევრებს და არც ერთმა მათგანმა ეს არ დაადასტურა.

საპატრიარქოს დაცვა ეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამიტომ დაცვის წევრებს იარაღის ტარების უფლება აქვთ.

– რა თქმა უნდა, ისინი არიან იარაღით აღჭურვილები. ის არის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფი. მათ აქვთ იარაღის ტარების უფლება. ჩხრეკასთან და იარაღის არსენალთან დაკავშირებით ინფორმაცია არის სრული აბსურდი, რასაც სიმართლესთან კავშირი არ აქვს. ეს ემსახურება კიდევ უფრო მეტ დაძაბულობას და გაუგებრობის შეტანას საზოგადოებაში.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შსს-მაც გააკეთა განცხადება ამის თაობაზე. ეს არის ადამიანების ბოროტი ფანტაზია, რომლებსაც უნდათ ეს დაძაბულობა, – განაცხადა მამა დავით შარაშენიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## მეუფე დიმიტრი: „პატრიარქი ანდერძით მემკვიდრეს ვერასოდეს დატოვებს“



– პატრიარქი ანდერძით მემკვიდრეს ვერასოდეს დატოვებს – ეს აბსურდია. ფაქსიმილეს გაქრობაზე ინფორმაცია ყურით მოტანილი ჭორია, საპატრიარქოდან არაფერი გამქრალა, – ამის შესახებ ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრი შიოლაშვილმა „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მეუფე დიმიტრის თქმით, ამ კონტექსტში რამდენჯერმე გაიჟღერა პატრიარქის ანდერძის საკითხმა და გარკვეულმა ჯგუფმა ანდერძთან თავად მეუფე დიმიტრიც დააკავშირა, რაც საზოგადოების შეცდომაში შეყვანისა და თვალში ნაცრის შეყრის მცდელობაა.

– პატრიარქი ანდერძით მემკვიდრეს ვერასოდეს დატოვებს, ეს გამორიცხულია, აბსურდია. ანდერძში მხოლოდ მისი მოსაყდრეა მოხსენიებული, რომელმაც, ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს პატრიარქი, მისი გარდაცვალების შემდეგ დაკრძალვა უნდა უზრუნველყოს. სწორედ ანდერძით დასახელებული მესაყდრე მართავს და იწვევს საეკლესიო კრებას, სადაც წმინდა სინოდი მომავალ პატრიარქს აირჩევს. ვიმეორებ, ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს პატრიარქი, გარდაცვლილი უწმინდესი როგორ დატოვებს მემკვიდრეს მისი სურვილისამებრ, როდესაც ხშირია შემთხვევა, ცოცხალ პატრიარქსაც არ ეპუებიან.

დიახ, ხანდახან ასეც ხდება – წმინდა სინოდი ცოცხალი ორგანიზამია და უამრავ საკითხს დიდხანს განიხილავენ, ბაასობენ. პატრიარქობის კანდიდატი წმინდა სინოდის 47-ვე წევრია, ასე რომ, ყველა შეიძლება მოიაზრებოდეს, ჩემ გარდა, – განაცხადა მეუფე დიმიტრიმ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თორნიკე შარაშენიძე: „აფხაზეთის რკინიგზის გახსნა დაუშვებელია“

## „რისკები თვალნათელია, ზედაპირზე დევს საფრთხეები“

ნათია ხურცილავა

ჯიპას პროფესორი, საერთაშორისო საკითხების ექსპერტი **თორნიკე შარაშენიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთში რკინიგზის გახსნის საკითხზე საუბრობს.

***– ბატონო თორნიკე, გავრცელებული ინფორმაცია, რომ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა შეიძლება მოხდეს, რამდენად რეალურია?***

– რამდენად რეალურია, ვერ გეტყვით, რადგან მე ამის შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ, მაგრამ გამორიცხული არაფერია. პირველ რიგში, როგორც ყოველთვის, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები ისმის და მიმდინარეობს მარჩიელობა. არადა საუბარია უმნიშვნელოვანეს საკითხზე, ქვეყნისთვის მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტზე. მთავრობამ უნდა გვითხრას, რეალურად რა დონეზე მოხდა საკითხის განხილვა ან საერთოდ მოხდა თუ არა.

***– კონკრეტულად რა რისკები ახლავს ამ საკითხს? ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე, რომ შესაძლებელია, აფხაზეთის დაბრუნების შანსი საერთოდ დაიკარგოს.***

– დღემდე არ მომისმენია არც ერთი რელევანტური არგუმენტი, თუ რაში აწყობს საქართველოს აფხაზეთის მონაკვეთის რკინიგზის გახსნა. სამაგიეროდ, მე მაქვს ძალიან ბევრი არგუმენტი, რატომაც არ გვაწყობს აფხაზეთის რკინიგზის გახსნა და რა რისკები ახლავს ამ ყველაფერს.

პირველი – თუ გაიხსნა რკინიგზა და მატარებელში მოქალაქეები ჩასხდებიან, ვინ დახვდებათ მათ ენგურზე, საოკუპაციო ხაზთან?! ბუნებრივია, რომ რუსი დახვდება.

მეორე – რუსი მესაზღვრე შეამოწმებს პასპორტს და მერე ჩვენ ვაფიქსირებთ თუ არა, რომ მოქალაქეებმა საზღვარი გადმოკვეთეს თუ რას ვშვრებით?! ვინმეს აქვს ილუზია, რომ ენგურზე ან ფსოუზე ქართველ მესაზღვრეებს დასვამენ?! ან ვინმეს აქვს ილუზია, რომ შვეიცარიელ მესაზღვრეებს დასვამენ?! კი არსებობს ჩანაწერი, რომ შვეიცარიელი მესაზღვრეები ჩადგებიან, მაგრამ ამ საკითხზე დღემდე დუმს რუსეთი, კონკრეტულ პასუხს არ გვაძლევს. ფაქტია, რომ არავინ მოგვცემს იმის ნებართვას, რომ შვეიცარიელი მონიტორები იქნებიან საზღვარზე ჩაყენებული.

ასევე, ვინმეს აქვს ილუზია, რომ რკინიგზის გახსნით დაფიქსირდება ის, რომ საქართველოს საზღვარი ფსოუზეა და არა ენგურზე?! რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაცია არავითარ შემთხვევაში არ წავა იმის აღიარებაზე, რომ საქართველოს საზღვარი არის ფსოუზე და არა – ენგურზე.

მნიშვნელოვანი რისკი უკავშირდება ტვირთებს. რეალურად სწორედ ტვირთების გადასაზიდად სჭირდება რუსეთს აფხაზეთის რკინიგზა. მოგეხსენებათ, რომ სომხეთში არსებობს გიუმრის სამხედრო ბაზა. არავის აქვს იმის ილუზია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ექნება იმის საშუალება, რომ რუსული ტვირთები გააკონტროლოს. ეს ავტომატურად გამოიწვევს აზერბაიჯანთან ურთიერთობის დაძაბვას, ასევე ურთიერთობის გაფუჭებას თურქეთთან და ა.შ. ფაქტია, რომ უამრავ პრობლემას ვაწყდებით.

***– თუ ეს რისკები ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს, მაშინ რის სანაცვლოდ შეიძლება ამაზე წავიდეს?***

– არ ვიცი, ამ კითხვაზე პასუხი არ მაქვს. მეც მაქვს კითხვა, რას ვიგებთ?! თუ პასუხი არის ის, რომ მატარებელში ჩასხდებიან აფხაზი მოქალაქეები და თბილისში ჩამოვლენ ან სხვა ქალაქებს მიაწყდებიან, რა, აქამდე ტრანსპორტი არ იყო თუ რა?! ეს არ არის პასუხი ამ კითხვებზე. რატომღაც მთავრობაში ვიღაც-ვიღაცებს ყოველ გაზაფხულზე ეს საკითხი უმწვავდებათ.

***– რას გულისხმობთ?***

– არსებობს კითხვები საზოგადოებაში, დაინტერესებულ წრეებში და საჭირო არის პასუხები. როდესაც პასუხი არ არის, ეს ძალიან



ცუდია.

***– არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ ჩვენ გვინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთის დაბრუნება და თუ რკინიგზის გახსნა მოგვიგვარებს ამ პრობლემას, რატომაც არა?***

– გამაგებინონ, როგორ ვაგვარებთ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას რკინიგზის გახსნით?! ალბათ მათი არგუმენტია, რომ აფხაზები ჩასხდებიან მატარებელში და მოგვაწყდებიან თბილისში, მაგრამ ასე არ იქნება, სამწუხაროდ. ასეთი მარტივი არ არის ის, რაც გვინდა. არ დათანხმდებიან საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნებას, ეს ხომ ვიცით, ასევე ხომ ვიცით, რატომაც არ დათანხმდებიან.

***– რუსეთის გავლენის გამო.***

– რა თქმა უნდა.

***– გასულ კვირას თბილისში სომხეთის პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა, რის შემდეგაც ამოიწია ეს საკითხი. კარაპეტიანმა პირდაპირ თქვა, რომ ლარსს ალტერნატივა ექნება. კალაძემ კი განაცხადა, რომ ეს საკითხი არ განხილულა. შეიძლება ვთქვათ, რომ ამაზე იყო საუბარი?***

– ვერ გეტყვით, რადგან ინფორმაცია არ არსებობს. მითქმა-მოთქმის საფუძველი რომ არ დაუტოვო არავის, ღიად უნდა თქვა, რისი თქმაც არის შესაძლებელი. ეს იქნებოდა მთავრობის სწორი ტაქტიკა. სხვა შემთხვევაში ინტერპრეტაციების ადგილი ყოველთვის რჩება. თუმცა, ის რისკები, რაზეც გესაუბრეთ, რეალობაა და არავითარი საერთო ინტერპრეტაციებთან არ აქვს.

***– უშვებთ, რომ შეიძლება ერთგვარი მოსინჯვა ხდება, თუ როგორი იქნება საზოგადოების რეაქცია?***

– მე მაინც მგონია, რომ საქმე გვაქვს გაუგებრობასთან, როდესაც ერთი უარყოფს, მეორე ნაწილობრივ ადასტურებს, მესამეს საერთოდ არ გაუგია, რაზეა საუბარი. რეალურად კი არც არაფერი ხდება, მთავრობა არანაირი რკინიგზის გახსნას არ აპირებს, ჩემი აზრით, რადგან ეს ყოვლად დაუშვებელია.

ეს არ გაუკეთებია არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს. ორივემ შეიკავა თავი, ორივეს ჰქონდა არგუმენტი. სააკაშვილი შევარდნაძეს ვერ იტანდა, მაგრამ სააკაშვილი ამ საკითხში დაეთანხმა შევარდნაძეს. ხომ უნდა დაფიქრდე, რომ რადგან ორივემ თავი შეიკავა ამ საკითხზე, არ ღირს ამაზე წასვლა.

***– თუმცა, ამდენი წელი კონფლიქტი გაყინულია, პრობლემა ადგილიდან არ იძვრის.***

– და გალღობით რა გამოვა? თუ შედეგი არ დადგება, ისე რა აზრი აქვს? გეუბნებით, უარესი შედეგი მოჰყვება.

***– საერთაშორისო პარტნიორებთან, მაგალითად, ამერიკელებთან შესაძლებელია კონსულტაცია გაიაროს მთავრობამ?***

– რა საჭიროა კონსულტაციები, დათვალონ რისკები და ისე იმოქმედონ. თვალნათლივ ჩანს საფრთხეები, ზედაპირზე დევს რისკები. ნამდვილად ვიცი, რომ მთავრობაში არიან ჭკუათმყოფელი ადამიანები და მათ დაეკითხონ.

# მთავრობა: „აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში არ დგას“

შერიგებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი აფხაზეთის გავლით რუსეთ-სომხეთთან დამაკავშირებელი რკინიგზის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებების მიმდინარეობას არ ადასტურებს.



– ამ დღეების განმავლობაში ბევრი ინტერპრეტაცია მიეცა გაუგებარი მიზეზებით. მე ვფიქრობ, ძალიან ცალსახა განცხადებები გაკეთდა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც განიხილებოდა. რკინიგზის საკითხზე ასეთი მოლაპარაკებები არ ყოფილა და არც მიმდინარეობს, – განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

დაახლოებით იგივე თქვა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ვიქტორ დოლიძემაც, რომელმაც აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღგენის თემას ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოგონილი უწოდა.

– ეს არის ტრადიციულად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ ატეხილი ამბავი. მათივე გამოგონილი თემაა, რომელსაც საერთო არ აქვს რეალობასთან.

ჩვენ ნებისმიერს საკითხს, სატრანსპორტო კავშირი იქნება თუ სხვა, ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციის პარალელურ რეჟიმში უნდა განვიხილავდეთ და განვიხილავთ კიდეც, – განაცხადა ბ-მა დოლიძემ.

**პირველი რადიო**

# სოზარ სუბარი: „ამ საქმეში ყველა დეტალი ვერ გამჟღავნდება“



– როგორც ჩანს, არის ისეთი რამეები, რისმა გამჟღავნებამ ამ წუთში შეიძლება, ხელი შეუშალოს გამოძიებას.

ამის შესახებ ციანიდის საქმეზე საუბრისას, დევნილთა მინისტრმა, სოზარ სუბარმა განაცხადა.

როგორც სუბარმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, საზოგადოებისთვის საქმის დეტალები გამოძიების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

– როდესაც არსებობს გამოძიება, კითხვები ყოველთვის არსებობს, სანამ საბოლოოდ, სასამართლო განაჩენი არ დადგება და მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე ყველაფერი იქნება ნათელი.

არის ისეთ საქმეები, სადაც ყველა დეტალი ვერ გამჟღავნდება, ამისთვის არსებობს საპროცესო წესები, რომელიც გაუთქმელობას ან ზოგჯერ საერთოდ საიდუმლოდ ცნობას გულისხმობს. ამ შემთხვევაში, ეს გაუთქმელობის ხელწერილი იმიტომ დაადებინეს ადვოკატებს და იმიტომ არ ასაჯაროებს პროკურატურა ყველა დეტალს, რომ იქ, როგორც ჩანს, არის ისეთი რამეები, რისმა გამჟღავნებამ ამ წუთში შეიძლება ხელი შეუშალოს გამოძიებას, მაგრამ როდესაც დამთავრდება გამოძიება, ბუნებრივია, საზოგადოებისთვის ყველაფერი იქნება ცნობილი, – აცხადებს სოზარ სუბარი.

**კვირა**

# მოსმენების კანონი: ხელისუფლებაც და ოპოზიციაც პრეზიდენტის ვეტოს ელოდება

„მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველოს“ წევრი ირაკლი აბესაძე მოსმენების კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს ელოდება.



როგორც აბესაძემ განაცხადა, „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებულად და მხოლოდ ძალის დემონსტრირებით მოახდინა კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგო კანონპროექტის მიღება.

აბესაძის შეფასებით, იმის ნაცვლად, რომ პარლამენტს გაეზიარებინა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღწერილი საფრთხე, რომ სუს-ის შემადგენლობაში მოსმენის ტექნიკური საშუალებების არსებობა დაუსაბუთებლად ზრდის უკანონო მოსმენების რიცხვს, მოსმენების შესაძლებლობა პირდაპირ სუს-ის შემადგენლობაში დარჩა.

– ეს პირდაპირ მიანიშნებს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უბრალოდ, შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან. სწორედ ამიტომ იყო, რომ განხილვაზეც კი უარი ითქვა მეორე მოსმენის დროს.

ახლა დაველოდებით საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, დასაბუთებული შენიშვნებით დააბრუნოს კანონპროექტი პარლამენტში და ამ განხილვებში კვლავ აქტიურად ჩავერთვებით იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დავანახოთ საზოგადოებას „ქართული ოცნების“ ის უარგუმენტო მცდელობა, რომ კვლავ სუს-ის შემადგენლობაში დატოვოს მოსმენები, რაც მხოლოდ პოლიტიკური დაკვეთით შეიძლება იყოს განპირობებული, – აცხადებს ირაკლი აბესაძე.

* * *

„ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი ფარულ მოსმენებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე არც პრეზიდენტის ვეტოს გამორიცხავს და არც მის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებას.

როგორც სესიაშვილმა აღნიშნა, კანონპროექტის შემუშავების პროცესში მთავარი იყო ოქროს შუალედის პოვნა, უსაფრთხოების დაცვის საკითხსა და სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ინტერესებს შორის.

– ეს არის ძალიან რთული დილემა და გამოწვევა მთელი მსოფლიოსადმი. ვფიქრობთ, რომ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი არის საუკეთესო ვარიანტი ამ დროსა და სივრცეში, პროექტი იმაზე უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ამის მოცემულობა გვაქვს. ამასთან, რა პროექტიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ოპოზიცია, პრეზიდენტი და სხვები, ვინც არ იღებენ პასუხისმგებლობას უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, იქნებოდა კრიტიკის ფორმატში, რადგან მათ ეს პოლიტიკური მიზნებისათვის სჭირდებათ, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ალეკო ელისაშვილი: „ნარმანიამ თავის „ორმო შოუს“ მიხედოს“

ნონა ცაბაძე

დიდი მცდელობის მიუხედავად, თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა ნარმანიას საკრებულოში მიყვანა ვერ შეძლეს. ნარმანია ამბობს, რომ მათ დადგმულ შოუში მონაწილეობას არ მიიღებს და არც საკრებულოში მისვლას გეგმავს.

დამოუკიდებელი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის მტკიცებით კი, თბილისის მერს აუცილებლად მოუწევს, საკრებულოს დეპუტატების კითხვებს უპასუხოს.

რა ბერკეტის გამოყენებით აპირებენ ოპოზიციონერი დეპუტატები ნარმანიას თბილისის საკრებულოში მიყვანას და უპირებენ თუ არა შოუს გამართვას? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს დამოუკიდებელი დეპუტატი **ალეკო ელისაშვილი** პასუხობს.



***– ალეკო, გასულ კვირას თბილისის საკრებულოს ოპოზიციური ფლანგი აქტიურად ითხოვდა, ნარმანია მოსულიყო და თქვენს კითხვებზე პასუხი გაეცა, რომელიც ნაზღაიძის სკანდალს უკავშირდება. მერმა ყოველივე ამას პოლიტიკური შოუ უწოდა. შოუს მოწყობას უპირებდით დავით ნარმანიას?***

– ეს არის ანტისახელმწიფოებრივი და მავნებლური პოზიციის ხმამაღლა თქმა. ქვეყანა იმართება კანონებით და წესებით! ამ კანონებსა და წესებში და ასევე საკრებულოს რეგლამენტში წერია, რომ თუ იქნება საჭირო რაოდენობის დეპუტატთა ხელმოწერა, მერი ვალდებულია, ჯერ თავისი თანამშრომლები გამოგზავნოს და მერე თვითონ მოვიდეს!

***– რომ არ მოვიდეს?***

– ამის უგულებელყოფა არის სამოხელო დანაშაული! ეს არის იგნორირება კანონების და წესების! „ქართული ოცნება“ ძალიან გაუთამამდა კონსტიტუციას, კანონებს, წესებს და ახდენს მის აბუჩად აგდებას, ეს კი არის სახელმწიფო საფუძვლების ნგრევა! რას ჰქვია შოუ?! როგორც ჩანს, საკრებულო შოუ ჰგონია ნარმანიას!

საკრებულო არის ორგანო, სადაც მუშაობენ ხალხის მიერ არჩეული ადამიანები. თუ მათ აქვთ კითხვები, მოსახლეობაშიც არის სერიოზული კითხვები. ნაზღაიძის კორუფციულ სქემასთან დაკავშირებით კი ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა! შესაბამისად, ამის უგულებელყოფა არის თავზე გადავლა კანონების და წესების!

***– არსებობს იმის ბერკეტი, რომ ნარმანია საკრებულოში მოიყვანოთ?***

– ჩვენ ვფიქრობთ, ვმსჯელობთ, ვწონით ყველაფერს, რა და როგორ გავაკეთოთ, თუმცა ერთი ზუსტად ვიცი, რომ ეს ასე მარტივად არ დასრულდება! ამაზე მოუწევს სერიოზული პასუხისგება დავით ნარმანიას!

***– რამდენი დეპუტატის ხელმოწერაა საჭირო იმისთვის, რომ ნარმანია საკრებულოში მოვიდეს?***

– ხელმოწერები საკმარისზე მეტი გვაქვს! ხმების ერთი მეხუთედია იმისთვის საჭირო, რომ მერი საკრებულოში მოვიდეს. 13 ხელმოწერაა საჭირო, ჩვენ კი 15 ხელმოწერა გვაქვს და ამის იგნორირებას ახდენს ნარმანია.

მაშინ გვითხრან, რომ ქურდულ სახელმწიფოში ვართ, ან ბიძინა ივანიშვილის დუქანი ვართ, სადაც წესი და კანონი, რომელიც ფურცელზეა დაწერილი, არ მოქმედებს! ამ ყველაფერს ასე მარტივად თავს ვერ დააღწევენ. ნარმანიას აუცილებლად მოუწევს, ჩვენს კითხვებს პასუხი გასცეს!

***– იმის მიუხედავად, რომ შოუდ მიიჩნევს ამ ყველაფერს?***

– პოლიტიკური შოუ, თან უნიჭო, არის ნარმანიას მმართველობა! გინდათ შოუ? შეხედეთ ნარმანიას მმართველობას! მან თავის შოუს მიხედოს, ორმო რომ ვერ ამოუვსია სამი წელია! ქალაქი ორმოებმა წალეკა! „ორმო შოუ“ აქვს ნარმანიას. მას ამ ყველაფერზე ადრე თუ გვიან პასუხისგება აუცილებლად მოუწევს!



***– დაიდო არასამთავრობოების ერთობლივი დასკვნა, საიდანაც ჩანს, რომ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. ასევე გამოდის მურუსიძე და აცხადებს, რომ მან ყველა ეს დასკვნა, ყველანაირი დოკუმენტი შეისწავლა და აქ ქრთამზე არ არის საუბარი. ამაზე რას იტყვით?***

– არასამთავრობოების განცხადება საკმაოდ ფრთხილი და თავშეკავებული იყო. ხოლო რაც შეეხება მურუსიძეს, ჯერ თვითონ ის ფაქტი, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მურუსიძე მოგვასვა თავზე და სასამართლოს მურუსიძე დაასვა თავზე, არის უკვე ყველაფრის დიაგნოზი და ყველაფრის ახსნა!

ამის ფონზე ნარმანიას ბოდიალი გასაკვირი როგორ უნდა იყოს, როდესაც სანდრო გირგვლიანის თემით მოვიდა ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში, სანდრო გირგვლიანის ტრაგედიით იშოვეს სკამები, გაინაღდეს ცხოვრება და გირგვლიანის საქმის მოსამართლე დაასვეს სასამართლოს თავზე. დღეს ეს კაცი დგას და მორალს გვიკითხავს! ეს არის თავისთავად ყველაფრის პასუხი!

***– ანუ ნაზღაიძის თემა ასე მარტივად არ დაიხურება?***

– ნაზღაიძის საქმეს ჩვენ არ მოვეშვებით და ამ კორუფციული სქემის დაგეგმვისთვის და განხორციელებისთვის, დღეს თუ არა ხვალ, აუცილებლად მოუწევთ პასუხის გაცემა! ამას ვაცხადებ დანამდვილებით, ეს ასე მარტივად არ ჩაივლის!

დღეს „ქართული ოცნება“ ყველაფრით არის დაკავებული, გარდა საქმის კეთებისა და ხალხის პრობლემების მოგვარებისა. ფულის კეთება, ინტრიგების ხლართვა და მაქინაციების კეთება მათი ყოველდღიური საზრუნავი გახდა. მათ ხალხი და ეს ქვეყანა საერთოდ დაავიწყდათ. მარტო 9-წლიანი რეჟიმის წამოძახებით ეს ქვეყანა ვერ განვითარდება. ამ გაღლეტილ და გაუბედურებულ ქვეყანას უარესად აღატაკებენ. როგორც ჩანს, მათ დასკვნების გამოტანის უნარი არ აქვთ და მალე ნაციონალებზე უარეს დღეში ჩაცვივდებიან!

# ნატოს გაფართოების ალტერნატივა – მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი საქართველოსთვის

ნატოს ქვეყნებმა რუსეთთან ევროპული უსაფრთხოების ახალ შეთანხმებაზე უნდა მოილაპარაკონ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება „მუდმივი ნეიტრალიტეტის“ სტატუსი ისეთი ქვეყნებისათვის, როგორებიცაა უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო და კიდევ რამდენიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკა.

ასეთი თვალსაზრისია გამოხატული ამერიკულ გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნელში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.



– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთისთვის ნატოს გაფართოება ფუნდამენტურ პრობლემად ითვლება, აღნიშნული ქვეყნების მუდმივი ნეიტრალიტეტით შესაძლებელი იქნება დაპირისპირებისა და ომის დაწყების რისკების შემცირება, – ამბობს ავტორი, ექსპერტი მაიკლ ო’ჰენლონი.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ დასავლეთი ნეიტრალიტეტის პირობებშიც კი არასოდეს მიატოვებს თავის დემოკრატიულ მეგობრებს, განსაკუთრებით უკრაინას და საქართველოს. ყოველთვის შეიძლება გამოინახოს ეფექტური საშუალებები მათი დახმარების მიზნით.

– დასავლეთის ქვეყნებისთვის დადგა დრო, რომ ისინი მოლაპარაკების გზით შეეცადონ შეთანხმების შემუშავებას უსაფრთხოების სფეროში აღმოსავლეთ ევროპის ნეიტრალური ქვეყნებისათვის...

ამ კონცეფციის საფუძველი, სავარაუდოდ, „მუდმივი ნეიტრალიტეტი“ იქნებოდა, ან ფორმალური წევრობა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ურთიერთთავდაცვითი მიზნებისთვის შეიქმნება.

ქვეყნები, რომლებზეც ვსაუბრობთ, ქმნიან ერთგვარ რკალს ევროპის ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე – ესენია ფინეთი, შვედეთი, ბელარუსი, უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, კვიპროსი, სერბეთი და შესაძლოა ბალკანეთის სხვა სახელმწიფოებიც. მოლაპარაკება ჯერ ნატოს ჩარჩოებში უნდა დაიწყოს, შემდეგ მას ევროპის ნეიტრალური ქვეყნები შეუერთდებიან, ბოლოს კი ამ პროცესში რუსეთიც ჩაერთვება, – წერს ავტორი.

ამერიკელი ექსპერტის აზრით, უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა უნდა შეიცავდეს რუსეთისა და ნატოს ვალდებულებას, უზრუნველყონ უკრაინის, საქართველოს, მოლდოვასა და რეგიონის სხვა ქვეყნების უშიშროება.

– რუსეთი ნატოს განიხილავს ისეთ ორგანიზაციად, რომელმაც მოსკოვი პოლიტიკურად და ფსიქოლოგიურად მოატყუა; განიხილავს ისეთ ყოფილ მტრად, რომელმაც რუსეთს შეურაცხყოფა მიაყენა და რომელიც მის საზღვრებს მიუახლოვდა, – წერს ავტორი.

ამის მიუხედავად, დასავლეთმა რუსეთთან მოლაპარაკება მაინც უნდა სცადოს.

– მხოლოდ ასეთი მასშტაბურ და თამამ იდეას შეუძლია მისცეს აშშ-ის პრეზიდენტს რეალური შანსი იმისთვის, რომ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობები ორივე მხარისთვის ხელსაყრელი და სასიკეთო კურსით წარიმართოს, – ნათქვამია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართველ „ლტოლვილებს“ ისრაელში დარჩენა გაუჭირდებათ



ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობისა და მიგრაციის სამმართველომ გამოაცხადა, რომ იცვლება საქართველოს მოქალაქეებისთვის ლტოლვილის სტატუსის მიღების თხოვნა-განხილვის წესი.

ცვლილების თანახმად, 27 თებერვლიდან ასეთი თხოვნების უარყოფა შესაძლებელი იქნება დაჩქარებული რეჟიმით.

– რატომ? იმიტომ, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო თვლის – საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა და, შესაბამისად, მის მოქალაქეებს ლტოლვილის სტატუსი არ უნდა სჭირდებოდეთ, მათ უკან დაბრუნებისას საფრთხე არ დაემუქრებათ, – იუწყება გაზეთი „ჰაარეცი“.

ახალი განკარგულების მიზეზია საქართველოდან ჩამოსული ტურისტების თხოვნათა ნაკადის მკვეთრი ზრდა ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით: ისინი შს სამინისტროს ამ თხოვნით ჩამოსვლის პირველივე დღეებიდანვე მიმართავენ და შემდეგ 3 თვით რჩებიან ქვეყანაში, დასაქმების მიზნით.

როგორც „ჰაარეცი“ აღნიშნავს, საქმე იმ „თხოვნებს“ ეხება, რომლებშიც მითითებულია საქართველოში „არსებული მძიმე სიტუაცია“: თუ კონკრეტულ მთხოვნელს მართლაც საფუძვლიანი მიზეზი აქვს იმისთვის, თუ რატომ უნდა ჩაითვალოს იგი ლტოლვილად, ანუ თუ იგი მართლაც იდევნება საკუთარ ქვეყანაში, ამ შემთხვევაში მისი თხოვნა ჩვეულებრივი წესით, დაჩქარების გარეშე იქნება განხილული.

ბოლო წლებში ისრაელის მიგრაციის სამმართველოში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან ლტოლვილის სტატუსის მიღების მიზნით 3.700 განცხადებაა შესული. საინტერესოა, რომ 2013 წელს ლტოლვილის სტატუსი მხოლოდ ერთმა ქართველმა ითხოვა.

ამ „რეიტინგში“ პირველი ადგილი უკრაინელებს უკავიათ – 6 ათასი თხოვნა.

მსურველთა ნაკადის ზრდის მიხედვით გაიზარდა უარების რიცხვიც ქვეყანაში შესვლაზე. ასე, მაგალითად, გასულ წელს ისრაელმა ქვეყანაში არ შეუშვა 5.700 უკრაინელი და 3.500 ქართველი.

**ნიუსპრესი**

# ადვოკატი: „მამა გიორგი მამალაძემ ჩვენებაში რამდენიმე პირი დაასახელა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მედიასთან მამალაძე აცხადებს, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძემ ციანიდის შოვნა 2017 წლის 20 იანვარს სთხოვა.

– მან მითხრა, ხომ არ ვიცნობდი ვინმე ისეთ პიროვნებას, რომელიც ციანიდს აშოვნინებდა. სრულიად შოკირებული ვიყავი და ვერ ამეხსნა, რისთვის სჭირდებოდა მამა გიორგის ციანიდი, – განაცხადა მთავარმა მოწმემ.

ირაკლი მამალაძე მისთვის შემაშფოთებელ, კიდევ ერთ დეტალზე ამახვილებს ყურადღებას:

– მამა გიორგის ვთხოვდი, რომ ჩემთვის მოეწოდებინა ინფორმაცია მეუფე სერაფიმესთან დაკავშირებით, რომელიც ბორჯომ-ბაკურიანის ეპარქიიდან წავიდა, რადგან პროვოკაცია მოუწყვეს და რაღაც სიბინძურე დააბრალეს, რაც არ ჩაუდენია. ძალიან მინდოდა, მეუფე სერაფიმეს უდანაშაულობის დამადასტურებელი საბუთები მომეპოვებინა და ვიცოდი, რომ მამა გიორგისა და მის გარემოცვას შეეძლოთ დამხმარებოდნენ.

როცა მამა გიორგის ვუთხარი, მეუფე სერაფიმეს უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებს თუ მომცემთ, ეს ოქროს ინფორმაცია იქნება-მეთქი, მან მიპასუხა – შენ ციანიდი მიშოვე და ოქრო და ბრილიანტები მერე ნახეო, – განაცხადა მამალაძემ.

# შოთა მალაშხია: „ესენი სერგო ორჯონიკიძეზე უარესები არიან“

## „კორუფციულ სისტემაში ბევრი სტრუქტურაა ჩართული“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ **შოთა მალაშხიას.**

***– ინტენსიურად ვრცელდება ინფორმაცია საქართველო-რუსეთის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნის შესახებ. ეს შესაძლებელია?***

– ამის გამო საზოგადოებაში იქნება პროტესტი. ეს ხელისუფლება რკინიგზის გახსნას წინ არ აღუდგება. ამას ფაქტებზე დაყრდნობით ვამბობ. ეს ფაქტები მას შემდეგ მოხდა, რაც „ქართული ოცნება“ მოვიდა და რაც ხორციელდება ივანიშვილის დოქტრინა. 2012 წლიდან გვესმის შეფასებები იმის შესახებ, თითქოს 2008 წლის ომი რუსეთთან საქართველომ დაიწყო. ამას მოჰყვა პოლიტპატიმრების ეგიდით მოღალატეების, სეპარატისტებისა და „გრუ“-ს აგენტების ციხიდან გამოშვება.

წინა მოწვევის პარლამენტში „ოცნებას“ უნდოდა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის შეცვლა. ჩვენ ამაზე დიდი ხმაური ავტეხეთ და ის მხოლოდ პირველი მოსმენით მიიღეს. ცნობილია, რომ ამ კანონის მიღება ისევ დგას დღის წესრიგში.

***– ზოგს ეს კანონპროექტი სახიფათოდ არ მიაჩნია.***

– მოქმედი კანონით, საზღვრის ნებისმიერი მონაკვეთის დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულია. ბიძინა ივანიშვილს და „ოცნებას“ უნდათ, რომ ეს სასჯელი შემსუბუქდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ეს ნიშნავს გადაადგილების გაადვილებას ოკუპანტისთვის. ამას ემატება გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება.

***– მისი დეტალები ისევ უცნობია.***

– დეტალების გარეშეც ცხადია, რომ ეს დამაზიანებელი და წამგებიანი ხელშეკრულებაა. გაზპრომი სომხეთში გაზის გატარების სანაცვლოდ აღარ გვაძლევს გაზს და ამაში გვიხდის თანხას. ეს წამგებიანია. ჩვენ ამოვარდნილი ვართ ჟენევის ფორმატიდანაც.

***– რატომ? ჟენევის მრავალმხრივ ფორმატში ხომ ვმონაწილეობთ?***

– ჟენევის მოლაპარაკებებზე არაფერი ხდება. ჩვენი პრობლემები არ აისახება გაეროს, ევროკავშირის, სხვა ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე. საქართველო ოკუპირებული ქვეყანაა, აქ მოხდა ეთნოწმენდა, მაგრამ ამაზე საუბარი არსად მიდის. ჟენევის შეხვედრები მოკლედაც არ შუქდება. უფრო ხშირად ახსენებენ აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებებს.



მოხდა სხვა გაუგონარი მოვლენები – ტრისტან წითელაშვილმა დახურული სამხედრო ობიექტები გადაიღო, შსს-დან კი ერთი მაღალჩინოსანი „გაქრა“, რომელმაც საიდუმლო დოკუმენტაცია წაიღო რუსეთში. ნამდვილი პატრიოტებიდან ზოგი დააპატიმრეს, ზოგი გაქცეული ან დაღუპულია. საოკუპაციო ზოლის გადმოწევაზე, ჩვენი მოქალაქეების გატაცებაზე ხმას არ იღებენ. უდანაშაულო მოქალაქეებს ტერორისტებში ცვლიან.

ვსვამ შეკითხვას – სერგო ორჯონიკიძეს ქვეყნისათვის ამდენი ცუდი გაუკეთებია? ესენი ორჯონიკიძეზე უარესები არიან. აფხაზეთში რკინიგზის გახსნა ამ მოვლენების გვირგვინი გამოდის.

***– რუსეთს ამ რკინიგზის ამუშავება სჭირდება?***

– რუსეთს უნდა გიუმრის ბაზასთან თავისუფალი მიმოსვლა და სამხედრო ტვირთების გადაზიდვის გაადვილება. ეს რკინიგზა ჩვენთვის ეკონომიკურად არაფერს ნიშნავს. ადრეც მითქვამს, რომ ამან შეიძლებაააფეთქოს სიტუაცია.

***– თუ საქმეში აზერბაიჯანი და თურქეთი ჩაერევიან?***

– დიახ. სომხეთ-აზერბაიჯანის დაპირისპირების გამწვავებას, რაც რეალურია, მოჰყვება პროცესებში თურქეთის ჩართვა აზერბაიჯანის მხარეს. რუსეთი და სომხეთი ერთად დადგებიან. საქართველო ამ სიტუაციაში გადაიქცევა პლაცდარმად. თუ ეს მოხდა, ამ სახელმწიფოსგან არაფერი დარჩება.

***– აფხაზეთში რკინიგზის შესაძლო გახსნას საქართველოს საზოგადოება ყოველთვის მწვავედ უპირისპირდებოდა.***

– ახლაც დაუპირისპირდება. შევარდნაძე ამ რკინიგზის გახსნის პირობად აყენებდა დევნილების დაბრუნებას. ესენი ამაზე ხმას არ იღებენ! ეს პროტესტი ქუჩაში გამოვა, იმიტომ, რომ პარლამენტი არ გამოხატავს ხალხის ნებას. ამ პარლამენტში არიან მხოლოდ ივანიშვილის მონები და უმრავლესობის გადაწყვეტილებების „გამპრავებლები“. უმრავლესობას გააქვს ყველაფერი, რაც უნდა. ეს ადასტურებს იმ პოზიციის სისწორეს, რომ ნაციონალური მოძრაობა ამ პარლამენტში არ უნდა შესულიყო. „ქართული ოცნება“ ღირებულებებსაც ურტყამს.

***– რას გულისხმობთ?***

– საპატრიარქოში, მედიასა და სასამართლოში მიმდინარე მოვლენებს. 2012 წელსაც გამოიყენა „ქართულმა ოცნებამ“ „კაგებეს“ მეთოდები. მაგალითად, რაფალიანცის მკვლელობა დააბრალეს ოპონენტს. ადამიანი, რომელიც ამ სიბინძურეში იყო ჩართული, დღეს კულტურის მინისტრის მოადგილეა. ეს ადამიანები დღესაც რუსეთის უშიშროების მეთოდებს მიმართავენ. აბა, როგორ შეიძლება აიხსნას ის, რომ კათოლიკოს-პატრიარქს მძიმე ოპერაციის წინ უყვებიან ციანიდის ამბავს? ესაა ჩარევა საპატრიარქოს ცხოვრებაში და პატრიარქად საკუთარი კანდიდატის გაყვანის მცდელობა.

სასამართლოში ხომ საშინელება ხდება! არის მოსამართლეების კორუფციაში ჩართვის მცდელობა. მაგალითად, ნაზღაიძე ნორმალური მოსამართლე იყო, მაგრამ ის „გააფუჭეს“. ხელისუფლება მისი ოჯახის წევრს უხდის ქრთამს იმისთვის, რომ მფლობელს წაართვას რუსთავი 2. თუ ეს ორ მეპატრონეს შორის სამართლებრივი დავაა, ქრთამს რატომ იხდიან?

***– ამ საკითხზე დიდი ვნებათაღელვაა დედაქალაქის საკრებულოში.***

– ამ კამათისას გაირკვა, რომ კორუფციულ სისტემაში ბევრი სტრუქტურაა ჩართული – არა მარტო მერი და მოსამართლის ოჯახი, არამედ საკრებულო, ეკონომიკის სამინისტრო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ისინი ამართლებენ ამ ქრთამს და თან საზოგადოებას უყვებიან ზღაპრებს ვინმე ჩოხელის შესახებ. ეს ყველაფერი ცინიკურ სახეს იღებს, იმიტომ, რომ მოღალატეები მორალს გვიკითხავენ და აქეთ გვესხმიან თავს.

# გიორგი კვირიკაშვილი: „დღეს არსად ისე, როგორც საქართველოში, ძლიერია ევროპული სულისკვეთება“

ევროკავშირის საბჭომ საქართველო იმ ქვეყნების სიაში გადაიყვანა, რომელთა მოქალაქეებსაც შენგენის ზონაში ვიზა არ სჭირდებათ. ამის შესახებ თავად ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაშია ნათქვამი.



მათი ინფორმაციით, ევროკავშირის საბჭომ 2017 წლის 27 თებერვალს შესაბამის დანართში ცვლილება შეიტანა და საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის შესახებ რეგულაცია აამოქმედა.

* * *

– ხელისუფლება სრულად აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც უვიზო რეჟიმის ამოქმედებას უკავშირდება. ხელისუფლება სრულად აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც უვიზო რეჟიმის ამოქმედებას უკავშირდება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულოსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ხელისუფლება ახორციელებს მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს, შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად.

– ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ხელშესახები კონკრეტული სარგებლის მომტანი იქნება საქართველოს მოქალაქეებისთვის. უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჩვენს საზოგადოებებს შორის მჭიდრო ტურისტული, საგანმანათლებლო-კულტურული და ბიზნეს-ურთიერთობების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და წვლილს შეიტანს საქართველოში ევროპული ფასეულობებისა და იდეების დამკვიდრებასა და განმტკიცებაში.

მნიშვნელოვანია, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა სარგებელი ხელმისაწვდომი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ჩვენი მოქალაქეებისთვის. საქართველოს ხელისუფლება სრულად აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედებას უკავშირდება.

ჩვენ ვახორციელებთ მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს შესაძლო რისკების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის ფართომასშტაბიან ინტენსიურ საინფორმაციო კამპანიას უვიზო მიმოსვლის წესების შესახებ, – განაცხადა პრემიერმა.

მისივე თქმით, ხელისუფლების მოლოდინია, რომ საქართველოს თითოეული მოქალაქე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდება საკუთარ ვალდებულებებს და ზედმიწევნით დაიცავს უვიზო მიმოსვლის პირობებს.

– სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესში გატარებული რეფორმები მთავრობის დღის წესრიგის ნაწილია და, შესაბამისად, ჩვენი ძალისხმევა ამ მიმართულებით გრძელდება, რაც უწყვეტი პროცესია და ჩვენ კვლავ გვაქვს ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა გაწეული საქმიანობისთვის და მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა მისი გუნდის ყველა წევრს, ასევე ევროკომისარ დიმიტრის ავრამოპულოს, საქართველოში ევროკავშირის ელჩს იანოშ ჰერმანს და ევროკავშირის ქვეყნების თითოეულ ელჩს, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა.


დიმიტრის ავრამოპულოსი

– გილოცავთ და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, საქართველო უკვე დღეს მნიშვნელოვან გზავნილს უგზავნის ევროპას. გილოცავთ და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

ამის შესახებ მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც დიმიტრის ავრამოპულოსმა აღნიშნა, საქართველო არის შესანიშნავი მაგალითი პროგრესისა და რეფორმების.

– მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო შეინარჩუნებს პროგრესის დონეს და ის კვლავ წარმატებებს მიაღწევს და გააგრძელებს იგივე პასუხისმგებლობით, რომ შესრულდეს დაკისრებული მოვალეობები. უვიზო მიმოსვლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მთელი რიგი რეფორმები იქნება სარგებლის მომტანი თქვენი ქვეყნისთვის.

საქართველო გახლავთ შესანიშნავი მაგალითი პროგრესისა და რეფორმების. ეს გახლავთ წინგადადგმული ნაბიჯი ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ევროკავშირის პერსპექტივების კუთხით.

ევროკავშირი მოუთმენლად ელოდება, რომ მიესალმოს საქართველოს მოქალაქეებს, მალე უკვე როგორც ტურისტებს, მეგობრებს და ოჯახებს, რათა გაზიარებული იყოს კულტურული თუ სპორტული, ბიზნეს და სასწავლო ღონისძიებები. იყო ევროკავშირის წევრი – ეს ნიშნავს, რომ იყო ნაწილი მშვიდობის, ტოლერანტობის, სტაბილურობის, პროგრესის და კეთილდღეობის. საქართველო უკვე დღეს მნიშვნელოვან გზავნილს უგზავნის ევროპას. გილოცავთ და კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, – განაცხადა მიგრაციის, საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში ევროკომისარმა დიმიტრის ავრამოპულოსმა.

* * *

– გილოცავთ, ეს არის დანაპირების შესრულება ძალიან ბედნიერები ვართ, – ამის შესახებ ევროკომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანმა საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის შესახებ ახალი რეგულაციის მინიჭების საკითხის კომენტირებისას განაცხადა.

ევროკომისრის თქმით, ეს იქნება ახალი შესაძლებლობა ევროკავშირთან მჭიდრო პარტნიორობის გაღრმავებისთვის.

– ძალიან ბედნიერები ვართ, ახლა დარჩენილია ადმინისტრაციული საკითხები და უნდა ველოდოთ, რომ რამდენიმე კვირაში საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი რეალურად ამოქმედდება. გილოცავთ, ეს არის დანაპირების შესრულება, რომ თუ საქართველო ჩვენს ყველა მოთხოვნას შეასრულებდა, უვიზო რეჟიმსაც მიიღებდა.

იმედი მაქვს, რომ ევროპაში მოგზაურობის შესაძლებლობით უფრო მეტი მოქალაქე ისარგებლებს, განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდები. ეს ახალი შესაძლებლობაა ევროკავშირთან უფრო მჭიდრო პარტნიორობისთვის, ასე რომ, გამოიყენეთ ეს, – განაცხადა იოჰანეს ჰანმა „რუსთავი 2“-თან საუბრისას.

ევროკავშირის საბჭომ 2017 წლის 27 თებერვალს მიიღო რეგულაცია საქართველოს მოქალაქეებისათვის ვიზალიბერალიზაციის შესახებ, – ამასთან დაკავშირებით ნათქვამია ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

მალტის შინაგან საქმეთა და ეროვნული უსაფრთხოების მინისტრმა კარმელო აბელამ განაცხადა, რომ „ეს შეთანხმება დააახლოვებს ქართველ ხალხსა და ევროკავშირს და გააძლიერებს ტურიზმისა და ბიზნესის კავშირებს“.

– აღნიშნული ცხადყოფს საქართველოს მიერ საჭირო რეფორმების გატარებას, კერძოდ ესენია: დოკუმენტების უსაფრთხოება, საზღვრის მართვა, მიგრაციისა და თავშესაფრის მიღების საკითხები. შეჩერების მექანიზმის მიღებამ ეს შეთანხმება შესაძლო გახადა, – განაცხადა მალტის შს მინისტრმა.

# „ბანკის დამფუძნებელს ბანკთან ასოცირებულ ბიზნესში ფულის დაბანდება არ უნდა ავუკრძალოთ“

– ის, რომ ჩვენ ბანკის აქციონერს ან დამფუძნებელს ავუკრძალოთ სხვა ბიზნესში დააბანდოს ფული, რომელიც ასოცირდება საბანკო დაწესებულებასთან, ეს არასწორი მიდგომაა და ასე არ ხდება.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ ისაუბრა.



– 2008 წლის ომის შემდეგ ბიზნესის გარკვეული ინდუსტრიები მთლიანად გაკოტრების წინაშე დადგნენ და მაშინ ეროვნულმა ბანკმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რომ საბანკო სექტორს არაპროფილური აქტივების უფრო ფართომასშტაბიანი ფლობის უფლება მისცა. სწორედ ამ უფლების მიცემამ აამუშავა ეს გაჩერებული ინდუსტრიები.

რა თქმა უნდა, შემდეგ ამან ცოტა სხვა მასშტაბებიც მიიღო და ეროვნულმა ბანკმა, როდესაც ეს პრობლემა აღარ იდგა, მიიღო გადაწყვეტილება და ბანკებს აუკრძალა არაპროფილური აქტივების ფლობა და დღეს იურიდიულად არც ერთი ბანკი არ ფლობს არაპროფილურ აქტივებს.

ის, რომ ჩვენ ბანკის აქციონერს ან დამფუძნებელს ავუკრძალოთ სხვა ბიზნესში დააბანდოს ფული, რომელიც ასოცირდება საბანკო დაწესებულებასთან, ეს არასწორი მიდგომაა და ასე არ ხდება, – განაცხადა ზურაბ გვასალიამ.

მისი თქმით, ეს ადამიანები საკუთარ კომპანიებს ნულოვან სესხებს აძლევენ და ეს არის აბსოლუტური უცოდინრობის გამოვლენა, ვინაიდან ეროვნული ბანკი ცალკე ამოწმებს მათ, შემოსავლების სამსახური ცალკე აკონტროლებს, რომ საბაზრო განაკვეთზე ნაკლებად თუ მისცა, ის სრულიად სხვანაირ დაბეგვრის რეჟიმში მოხვდება – ანუ ამ მხრივ კონტროლი არის.

– ახლა ითხოვენ უფრო გამკაცრებას და ეროვნულმა ბანკმა მოითხოვა, დაკავშირებულ კომპანიებთან წვდომის უფლება რომ ჰქონდეთ, არც ეს არ არის პრობლემა საბანკო სექტორისთვის, – აღნიშნა ბ-მა გვასალიამ.

ამასთან, გვასალიას განცხადებით, საბანკო სექტორის ჩართულობის გარეშე რამდენიმე ინდუსტრია კრიზისს ვერ გაუძლებდა და სრულიად განადგურდებოდა.

– როდესაც საბანკო სექტორზეა საუბარი, მხოლოდ მოგების ციფრს ასახელებენ. ეს ციფრი კი რაღაცას უნდა შეადარო. საბანკო სექტორების აქტივებს თუ შევადარებთ, ძალიან დაბალია ეს მოგება, საბანკო სექტორის საკრედიტო პორტფელს თუ შევადარებთ, ნამდვილად არ არის ისეთი მაღალი.

საბანკო სექტორი ამ ინდუსტრიებში რომ არ შესულიყო, ბევრი მათგანი დაინგრეოდა. ჩემთვის წარმოუდგენელია, ვიღაც მივიდეს მომგებიანი ბიზნეს-გეგმით ბანკში და ბანკმა მას უარი უთხრას იმის გამო, რომ კონკურენტად აღიქვამს. როდესაც ბიზნეს-გეგმას წაიკითხავ და შეისწავლი იმ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და ნახავ, რომ მას წინა წელს საკმაო მოგება აქვს მიღებული, მაგრამ მისი აქტივები 1 თეთრითაც არ არის გაზრდილი, ანუ მთელი ეს მოგება კომპანიის მფლობელებმა სახლში წაიღეს, აქ სერიოზული რისკია და ბანკი ამას ხედავს, – განაცხადა ზურაბ გვასალიამ.

**კომერსანტ.გე**

# მაია მელიქიძე: „კომპანიებში იგეგმება საკადრო შემცირებები“

ეკონომიკურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩევლის მაია მელიქიძის განცხადებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასთან შეხვედრაზე საუბრის ერთ-ერთი თემა უმუშევრობის პრობლემა იყო.

როგორც ბიზნესკონტრაქტს მაია მელიქიძემ განუცხადა, შეხვედრაზე მისიამ დიდი ყურადღება დაუთმო განათლების ხელშეწყობას ქვეყანაში.




მისივე თქმით, სავალუტო ფონდი მხარს უჭერს კადრების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, რადგან თვლის, რომ კვალიფიციური კადრების დეფიციტიც ხელს უშლის დასაქმების ზრდას.

– საკმაოდ ნეგატიური ტრენდი გვაქვს ამ მიმართულებით აღებული. მე მაქვს კომუნიკაცია ბიზნეს-სექტორის გარკვეულ წარმომადგენლებთან და მათი მხრიდან უკვე ისმის საუბრები იმის თაობაზე, რომ იგეგმება შემცირებები. მე შეგნებულად არ დავასახელებ კომპანიებს, მაგრამ მათ შორის არიან წარმატებული კომპანიები, – აღნიშნა მელიქიძემ.

ბიზნესკონტრაქტის კითხვას, კომპანიებში კადრების შემცირების მიზეზი უკავშირდება თუ არა სავალუტო რყევებს, პრეზიდენტის მრჩეველმა ასე უპასუხა:

– ბიზნესის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ამის მიზეზი არის ეკონომიკური ზრდა, რომელიც 2.2% იყო წლიურად. ეკონომიკური ზრდა მოიცავს თავის თავში იმას, რომ საზოგადოება უფრო ნაკლებს მოიხმარს. ამიტომ საბაზრო ეკონომიკის ლოგიკის თანახმად, როცა ნაკლებს მოიხმარს და მოთხოვნა ნაკლებია, მიწოდებაც ნაკლებია. მიწოდებას კი ახორციელებს კერძო სექტორი და როცა მოთხოვნა ნაკლებია, პირველი დარტყმა მოდის კადრებზე, – განმარტა მაია მელიქიძემ.

**თელარა გელანტია, ბიზნესკონტრაქტი**

## რუსულ კომპანიებს ქართული ღვინის ბაზარზე აქტივების შეძენა და გაფართოება სურთ



რუსული ღვინის კომპანიები ქართული ღვინის იმპორტითა და წარმოებით ისევ ინტერესდებიან.

ამის შესახებ რუსული მედია წერს.

– უკან ისევ საქართველოში – როგორ ბრუნდება რუსეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ღვინო, – ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას რუსული გამოცემა.

გამოცემის ინფორმაციით, დისტრიბუციისა და საკუთარი მეურნეობის წარმოებაზე ფიქრობს კომპანია „აბრაუ-დიურსო“, ხოლო კომპანია „სიმპლი“ აპირებს, მის საკუთრებაში არსებული ვენახები 15-20%-ით გაზარდოს.

ღვინის სახლ „აბრაუ-დიურსოს“ დამფუძნებელი და მფლობელი მის გუნდთან ერთად საქართველოში გასულ კვირას იმყოფებოდა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, საქართველოში ვიზიტი გაცნობითი ხასიათის იყო, რადგან კომპანია ადგილზე საკუთარი პროექტის განხორციელებას აპირებს.

– განვიხილავთ საქართველოში ჩვენი პროექტის პოტენციალს, ეს შეიძლება იყოს, როგორც დისტრიბუცია, ასევე აქტივების შეძენა, – აცხადებენ კომპანიაში, თუმცა, პოტენციურ პარტნიორებს არ ასახელებენ.

ღვინის ტრეიდერი კომპანია „სიმპლი“ კი აცხადებს, რომ ქართულ ღვინოზე ძალიან მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება და მოთხოვნა კიდევ გაიზრდება.

– გავზრდით ქართული ღვინის იმპორტს, პარალელურად დავიწყებთ მუშაობს საკუთარი წარმოებისთვის, – აცხადებენ კომპანიაში.

**ბიზნესკონტრაქტი**

## „კასტელის“ გაყიდვას გენდირექტორი არ ადასტურებს

გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც კომპანია „კასტელის“ გაყიდვას ეხება, „კასტელის“ გენერალური დირექტორი არ ადასტურებს.

როგორც ბიზნესკონტრაქტს ლევან ზაუტაშვილმა განუცხადა, ამ დროისთვის მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან მიმდინარეობს და თემურ ჭყონია არც ერთ შემთხვევაში კომპანია „კასტელს“ არ დატოვებს.

ზაუტაშვილის განმარტებით, ინფორმაცია ახალ ინვესტორთან დაკავშირებით ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით ბიზნესკონტრაქტი თემურ ჭყონიასაც დაუკავშირდა, რომელმაც ასევე დაადასტურა ინფორმაცია უცხოელი ინვესტორების მხრიდან აქციების ყიდვაზე. თუმცა, ბიზნესკონტრაქტის კითხვაზე, გადის თუ არა ის ამ ბიზნესიდან, თემურ ჭყონიამ შემდეგი პასუხი გასცა:

– ვნახოთ, მოლაპარაკება მიდის, ეს ბიზნესი დიდ დროს მართმევს.

## პირველი ქართული ვისკი „ჯიმშერი“ ბაზარზე ერთ კვირაში გამოჩნდება




პირველი ქართული ვისკი „ჯიმშერი“ ბაზარზე მომავალ ორშაბათს გამოვა და გასაყიდად სხვადასხვა ჰიპერმარკეტში შევა.

როგორც „კომერსანტს“ „ჯიმშერის“ დამფუძნებელმა ჯიმი ჩხაიძემ განუცხადა, ვისკი ანალოგიურ უცხოურ პროდუქციაზე 5%-ით იაფი იქნება და მისი ექსპორტზე გატანაც იგეგმება.

– ვისკი ორშაბათს, 6 მარტიდან გამოვა და მას სხვადასხვა ჰიპერმარკეტში შევიტანთ, თუმცა კონკრეტულად, სად შევა, ამ თემაზე ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

რაც შეეხება „ჯიმშერის“ საფასო პოლიტიკას, ის ანალოგიურ უცხოურ პროდუქციაზე 5%-ით იაფი იქნება, – განაცხადა ჯიმი ჩხაიძემ.

რაც შეეხება კონკურენციას, ჩხაიძის განცხადებით, „ჩვენ კონკურენციას სხვებს ხარისხიანი პროდუქციით და გემოვნური თვისებებით გავუწევთ, თუმცა, ვინც კი ვისკის იმპორტს ახორციელებს, ჩვენთვის ყველა კონკურენტია.

მისი თქმით, „ჯიმშერის“ ექსპორტზე გატანის შესახებ მოლაპარაკებები სხვადასხვა ქვეყნებთან მიმდინარეობს.

– თუმცა ზუსტად ვერ გეტყვით, ექსპორტზე როდის გავალთ, რადგან ამას თავისი პროცედურები აქვს, – განაცხადა ჩხაიძემ.

**ლიკა გურაბანიძე, კომერსანტ.გე**

# საქართველოს წიგნის გამომცემელთა განცხადება

### ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას
### საქართველოს ვიცე-პრემიერს, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების წესის მიხედვით, გამომცემლები და ავტორები, სურვილისა და მზადყოფნის მიუხედავად, ვერ შევძლებთ სახელმძღვანელოების კონკურსში მონაწილეობას, რადგან გრიფირების პირობები არ უზრუნველყოფს თანაბარ კონკურენციასა და ჩვენი შრომის სამართლიან ანაზღაურებას.

2. პრინციპულად ვერ დავეთანხმებით სამინისტროს გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოების შექმნისა და ბეჭდვის კომპონენტების გამიჯვნის თაობაზე, რადგან ეს პირდაპირ უკავშირდება საავტორო უფლებების საკითხს და ეწინააღმდეგება ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებულ წარმატებულ პრაქტიკას. ბოლო წლების სავალალო გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბეჭდვის კომპონენტის გამოყოფა-აქცენტირება იწვევს წიგნების პოლიგრაფიული ხარისხის დაცემას და შავი ბაზრის უპრეცედენტო გაძლიერებას.

3. მოსწავლეების ხარისხიანი სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოსა და გამომცემლების თანამშრომლობა წარიმართოს სწორად გააზრებული ეკონომიკური მოდელით, რაც გულისხმობს თავისუფალი ბაზრის აუცილებელ არსებობას.

4. ვითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მზად ვართ, დავზოგოთ საბიუჯეტო თანხები, საკუთარი სახსრებით გამოვცეთ სახელმძღვანელოები და სამინისტროსთან ერთად შემუშავებული ოპტიმალური სქემით უზრუნველვყოთ მოსწავლეები ხარისხიანი სასკოლო წიგნებით.

5. მოვითხოვთ ქართველი და უცხოელი გამომცემლების კონკურსში მონაწილეობა წარიმართოს გამჭვირვალე და თანაბარი პირობებით, რათა ქართველი გამომცემლები არ აღმოჩნდნენ დისკრიმინაციულ სიტუაციაში, როგორც ეს ხდებოდა უკანასკნელი წლების განმავლობაში.

6. ჩვენ ვხედავთ რეალურ საშიშროებას, რომ გრიფირების შემოთავაზებული წესი ხელს შეუწყობს კორუფციული გარემოსა და ხელოვნური მონოპოლიების შექმნას საგამომცემლო და პოლიგრაფიულ სფეროებში.

7. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის ივლისში ვადა გასდის სამინისტროსა და გამომცემლებს შორის დადებულ ხელშეკრულებას I-VI კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოყენების უფლების გადაცემისა და ბეჭდვის შესახებ. კანონის უხეში დარღვევა იქნებოდა ხელშეკრულების ვადის ცალმხრივად გაგრძელების ნებისმიერი მცდელობა. შესაბამისად, აუცილებელია გამომცემელთა და ავტორთა ინტერესების გათვალისწინება და ხელშეკრულების განახლება მისაღები, სამართლიანი პირობებით.

8. იძულებული ვართ აღვნიშნოთ, რომ წერილობით დოკუმენტებში სრულიად უგულებელყოფილია ბოლო თვეების მანძილზე სამინისტროში გამართული მრავალი შეხვედრის დროს განხილული, ავტორებისა და გამომცემლებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ყველა პრინციპული საკითხი. შემოთავაზებული გრიფირების წესი, სამწუხაროდ, აძლიერებს ავტორებისა და გამომცემლების უნდობლობას სამინისტროს მიმართ, ჩიხში აქცევს სასკოლო სახელმძღვანელოების განახლების პროცესს, შეუძლებელს ხდის ხარისხიანი სახელმძღვანელოების შექმნას, ზოგადად, ხელს უშლის საგამომცემლო საქმის სტაბილურ განვითარებას და საზოგადოების წიგნიერების ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში.

9. დასასრულ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი საერთო ამოცანაა საქართველოს განათლების სისტემის სწორი განვითარება და საბიუჯეტო რესურსების ეფექტიანი განკარგვა. ქართველი გამომცემლები კვლავაც მზად ვართ სახელმწიფოსთან თანამშრომლობისთვის ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე.

**კახმეგ კუდავა** – გამომცემლობა „ინტელექტი“
**თამარ ლებანიძე** – გამომცემლობა „დიოგენე“
**ირინა რუხაძე** – გამომცემლობა „პედაგოგიკა“
**ნინო ჯანჯიბუხაშვილი** – გამომცემლობა „წყაროსთვალი“
**ლია შალვაშვილი** – გამომცემლობა „შემეცნება“
**ზვიად კვარაცხელია** – გამომცემლობა „არტანუჯი“
**ზაზა ხიდურელი** – გამომცემლობა „კლიო“
**თინათინ მამულაშვილი** – „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
**ლევან ფოფხაძე** – გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
**ელიზბარ არსენიშვილი** – გამომცემლობა „ტრიასი“
**კახაბერ რუსიძე** – გამომცემლობა „მერიდიანი“
**თინათინ ასათიანი** – გამომცემლობა „პალიტრა L“

# „რუსთავი 2“-ის საქმეზე აცილებას ორივე მხარე ითხოვს

უზენაეს სასამართლოში „რუსთავი 2“-ის საქმის განხილვა 2 მარტს ჩაინიშნა.

ინფორმაცია ამის შესახებ სამაუწყებლო კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ გაავრცელა.

– 2 მარტს ჩაინიშნა უზენაეს სასამართლოში „რუსთავი 2“-ის საქმის განმხილველი საც სახელმწიფო წარმართავს „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, ამგვარი მოსამართლე არ უნდა იღებდეს მონაწილეობას, – აცხადებს ნიკა გვარამია.

გვარამია მოსამართლეებზე ზეწოლაზეც საუბრობს და ამბობს, რომ გამონაკლისი აღმოჩნდა ის 3 მოსამართლე, რომლებმაც შეძლეს და – ასეთი რამე, როგორც წესი, არ მომხდარა არასოდეს, როდესაც დიდ პალატას გადაეცემოდა საქმე განსახილველად, ყოველთვის იყო საუბარი იმაზე, რომ ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემა.

ამაზე უნდა იმსჯელოს დიდმა პალატამ. პრობლემა არის ასე დაყენებული.

მისი აზრით, თუ უზენაესი სასამართლო გამოიტანს იმ გადაწყვეტილებას, რაც „რუსთავი 2“-ის პრაქტიკულ დანგრევას ნიშნავს, ეს არ არის მხოლოდ ამ ტელევიზიის პრობლემა, ეს არის მთელი საზოგადოების პრობლემა, ქვეყნის პრობლემა და ბიზნესისთვის იქნება ეს ძალიან დიდი დარტყმა.


პაატა სალია


ქიბარ ხალვაში


ნიკა გვარამია

სხდომა. ზეპირი მოსმენის გარეშე(!)

**დიდი პალატის შემადგენლობა:**

**გვენეტაძე (ჩვენ მოვითხოვეთ აცილება), თოდუა („ქართული ოცნების“ ოფიციალური დამფინანსებელი, „ქართუს“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი მოსამართლედ გამწესებამდე. მოვითხოვეთ აცილება), როინიშვილი, გასიტაშვილი, ქათამაძე, ალავიძე, ვაჩაძე, ძლიერიშვილი, შავლიაშვილი, – წერს ნიკა გვარამია.**

ის ამბობს, რომ შემადგენლობაში არის 2 მოსამართლე, რომელიც „რუსთავი 2“-ს აცილებული ჰყავდა.

– პირველი არის ნინო გვენეტაძე, რომელიც გამოკვეთილად პოზიციონირებს „რუსთავი 2“-ის მიმართ ნეგატიურად, ერთ-ერთ ინტერვიუში მან ყვითელი არხიც გვიწოდა და თქვა, რომ კომენტარს არ გააკეთებდა ყვითელი არხის განცხადებებზე, ასევე ვიცით ტესტების სკანდალი, რომელშიც ის გახვეულია და ვფიქრობთ, რომ მანიპულირებადია ხელისუფლების მხრიდან.

მეორე მოსამართლე, რომლის კომპეტენციაშიც ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს, მაგრამ შეგვაქვს ეჭვი მის მიუკერძოებლობაში, ვფიქრობთ, რომ ის ვერ იქნება მიუკერძოებელი, რადგან არის „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, შემომწირველი „ქართული ოცნების“ და ბანკი „ქართუს“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იყო.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ საქმეში, რომელზეწოლას გაუძლეს.

– ჩვენ ვიცით, რომ მოსამართლეებზე მიმდინარეობდა ზეწოლა, ეს ყველამ იცის, ყველა ინსტანციაში ხდებოდა ეს, ვერც ერთ ინსტანციაში მოსამართლეებმა ამას ვერ გაუძლეს, გამონაკლისია უზენაესი სასამართლოს ის 3 მოსამართლე, რომელთაც საქმე დიდ პალატას გადასცეს, – ამბობს ბ-ნი გვარამია.

„რუსთავი 2“-ის ადვოკატის განცხადებით, საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეები განხილვას არ დაესწრებიან.

– საქმე განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე, ანუ ჩვენი, მხარეების, დაუსწრებლად!

აქვე გვაცნობეს, რომ 2017 წლის 23 თებერვალს პაატა სალიას შეუტანია შუამდგომლობა კოლეგიის სამი მოსამართლის, ეკატერინე გასიტაშვილის, პაატა ქათამაძისა და ბესარიონ ალავიძის აცილებაზე! – წერს მურადაშვილი ფეისბუქზე.

* * *

ქიბარ ხალვაშის ადვოკატმა ეკატერინე გასიტაშვილის, პაატა ქათამაძის და ბესარიონ ალავიძის აცილების საფუძველი განმარტა.

მისი თქმით, კოლეგიის წევრებმა დიდ პალატას განუსაზღვრეს, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება საქმის განხილვისას.

თუ წავიდა დეტალიზაციაში, ეს პალატა 3-კაციანი შემადგენლობით, სადაც, გარკვეულწილად, რაღაც საზღვრებით ასახავს, რომელშიც, ასე ვთქვათ, უნდა მოექცეს თითქოს დიდი პალატის მსჯელობა და დიდი პალატა ნამდვილად არ არის შეზღუდული, – განაცხადა პაატა სალიამ.

* * *

2 მარტს ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე კომენტარი გიგი უგულავამაც გააკეთა.

– ის, რომ 2 მარტს ჩაინიშნა პროცესი ზეპირი მოსმენის გარეშე, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მხრიდან, უკვე არის ძალიან ცუდი და საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი სიგნალი იმიტომ, რომ „რუსთავი 2“-ის საქმე არ არის ორ კერძო პირს შორის დავა, როგორც ამას ხელისუფლება წარმოაჩენს.

მას აქვს უდიდესი საზოგადოებრივი ინტერესი და ეს დაფიქსირდა რამდენიმე დღის წინ რუსთაველზე, როდესაც ათი ათასობით ადამიანი გამოვიდა და მხარდაჭერა გამოუცხადა „რუსთავი 2“-ს და მის დღევანდელ შემადგენლობას. შეიძლება, ძალიან სახიფათოდაც განვითარდეს მოვლენები. ჩამოთვლილ შემადგენლობაში არის ერთი მოსამართლე, რომელიც მთელი ცხოვრება პრაქტიკულად მუშაობდა ,,ქართუ ჯგუფში'', მოსამართლე თოდუა, – განაცხადა გიგი უგულავამ.

– ყველას შეუძლია ნებისმიერის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი და პრაქტიკულად ჩვენ შეიძლება მივიღოთ სამოქალაქო ქაოსი, რისი დასაბამიც შეიძლება გახდეს „რუსთავი 2“-ის საწინააღმდეგოდ გამოტანილი გადაწყვეტილება.

ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირადად ივანიშვილს და ხელისუფლებას იმიტომ, რომ არავის არ სჯერა, რომ მეორე მხარე არის ქიბარ ხალვაში. ეს არის პირობითი სახელი და მის უკან ხელისუფლება და ივანიშვილი იკითხება, – აღნიშნა გიგი უგულავამ.

* * *

– იმედი მაქვს, რომ საქართველოში არასდროს დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ მედიის დამოუკიდებლობის და თავისუფლების საკითხი, – განაცხადა სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა „რუსთავი 2“ -ის საქმეზე.

ნანუაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ პროცესი წარიმართება გამჭვირვალედ და ყველა არსებულ კითხვას პასუხი გაეცემა.

– სასამართლომ, რა თქმა უნდა, უნდა იმოქმედოს კანონის შესაბამისად. შესაბამისად, მე ვფიქრობ, რომ არანაირი კითხვის ნიშანი არ უნდა დარჩეს ვინმეს იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც იქნება მიღებული საბოლოო ჯამში, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

## სოფელ ხოვლეს ტყეში ტყის მცველი გარდაცვლილი იპოვეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის კასპის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სოფელ ხოვლეს ტყეში, 1969 წელს დაბადებული კ.ყ.-ს გვამი იპოვეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ კ.ყ. ტყის მცველი იყო და ის სახლიდან მიმდინარე წლის 25 თებერვალს გავიდა. მეორე დილით კ.ყ.-ს კუთვნილი ცხენი იპოვეს, თავად ტყის მცველთან შიდა ქართლის სატყეო-სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა დაკავშირება ვერ შეძლეს და დასახმარებლად პოლიციას მიმართეს.

გარდაცვლილს დაზიანება თავისა და მხრის არეში აღენიშნება. გარდაცვალების მიზეზის დასადგენად დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზა.

გამოძიება სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლით მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## შსს 104.260 კგ შოკოლადს და 125 კგ კარამელს ყიდულობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 104.260 კგ შოკოლადსა და 125 კგ კარამელის კანფეტს ყიდულობს. უწყებამ ტენდერი ტკბილეულის შესყიდვაზე 22 თებერვალს გა-



მოცხადდა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 1.058.989 ლარია.

სატენდერო დოკუმენტის მიხედვით, ტენდერი შოკოლადის და კარამელის შესაძენად, შსს-ს დაქვემდებარებული სამი უწყებისთვის გამოცხადდა:

შსს-ს ლოჯისტიკის დეპარტამენტი 76.260 კგ შოკოლადი და 110 კგ კარამელს ყიდულობს. სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი – 5.500 კგ შოკოლადს და 15 კგ კარამელს, ხოლო სასაზღვრო პოლიცია 22.500 კგ შოკოლადის შეძენას გეგმავს.

ტენდერში მონაწილეთა წინადადებების მიღება 10 მარტს იწყება და 15 მარტს სრულდება.

**პირველი რადიო**

ლიტერატურა

## რეზო თაბუკაშვილი: „13 დღე“ დიდხანს არ მასვენებდა“

რამდენიმე თვის წინ „ინტელექტმა“ რეზო თაბუკაშვილის რომანი „13 დღე“ გამოსცა. ავტორი გვიყვება იმ თაობაზე, რომელიც 90-იან წლებში 18-19 წლის იყო, ახლა კი თითქმის ორმოცისაა.

თხრობა ამ ოც-ოცდახუთწლიან შუალედში მოძრაობს. რომანი იწყება იმით, რომ დეპრესიაში მყოფი თინა მიდის ფსიქოთერაპევტ სანდროსთან, მაგრამ ურჩევნია, რომ ის ისტორია, რომელმაც მძიმე ტრავმა მიაყენა, ექიმს წერილობით მოუთხროს. სანდრო თანხმდება პაციენტთან ასეთ ურთიერთობას და ტექსტის ერთ მთავარ ხაზს ეპისტოლური ფორმა ქმნის, სადაც თინას მიერ მისი და გეგეს სასიყვარულო ისტორიაა მოთხრობილი.

**ვესაუბრებით რეზო თაბუკაშვილს:**

– ეს რომანი საკმაოდ დიდხანს იწერებოდა, უფრო სწორად, მასზე მუშაობა რამდენიმე წლის წინ დავიწყე, შემდეგ საკმაოდ დიდი პაუზა იყო. იცდიდა ასე მდუმარედ, არ მასვენებდა და ბოლოს და ბოლოს, მიაღწია თავისას – დავასრულე. ამ წიგნს, რასაკვირველია, ჰქონდა კონკრეტული ისეთი ასპექტები, რაზეც თავიდანვე გავამახვილე ყურადღება, რამაც დამაწყებინა, შემდეგ განივრცო და მივიღეთ ეს წიგნი.

**– წიგნის სიუჟეტიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა: რადგან ლიტერატურა მუდმივად ფიქრობს ადამიანის სულზე, მის მდგომარეობაზე ამ სამყაროში, მის მიმართებაზე საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან და ა. შ. თუ აქვს მას ფსიქიატრის ფუნქცია, უფრო ზუსტად, დღეს თუ აქვს ეს ფუნქცია? იყო დრო, როცა მწერლობას ბევრი რამ ჰქონდა თავის თავზე აღებული.**

– ფუნქციები იგივე რჩება, თუმცა, ჩემი აზრით, საქმის იმ მიზნით დაწყება, რომ ვიღაცას უნდა ვუმკურნალო, მცდარი და ყალბია. მწერლობას აქვს ძალიან ბევრი მონათესავე ნიუანსი, ასპექტი ფსიქოთერაპიასთან. რასაკვირველია, იქ კიდევ ბევრი ისეთი პროფესიული დეტალია, რომელიც ფსიქოთერაპევტისთვის უცნობია და პირიქით.

**– მართალი ბრძანეთ, ყალბი იქნება, მწერალმა წერის დასაწყისში საკუთარი თავი ჩაიგდოს იმ მდგომარეობაში, რომ წიგნს ზედმეტად ბევრი ფუნქცია მიანიჭოს, მაგრამ წიგნი ბადებს ფიქრს, კითხვებს და პასუხებს გცემს, გეხმარება იმოგზაურო შენს თავში, შენს ცნობიერში. თუმცა თანამედროვე სამყაროში თითქოს ლიტერატურა აღარ არის ისეთი მნიშვნელოვანი რამ, მძლავრი, როგორიც იყო. იმიტომ რომ, კითხვა ერთგვარად გართობის ხერხია, თვითგამოხატვაც არის, მაგრამ საბოლოოდ აღარავინ ითხოვს მისგან, რაიმე შეცვალოს ადამიანსა თუ სამყაროში. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად არის ლიტერატურის საჭიროება?**

– ლიტერატურის საჭიროება ყოველთვის იქნება, თუნდაც მკითხველის სულ მცირედი ნაწილი რომ დარჩეს, ეს იქნება, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო ნაწილი, რომელიც წიგნით გამოიკვებება და გარემოსაც გადასცემს მიღებულს, დალექილს. ჩვენ ცხოვრების ძალი-



ან სწრაფი რიტმი გვაქვს. ამასთან წიგნის კითხვაც არ არის ადვილი საქმე, მიუხედავად იმისა, რომ მას შინაგანად სხვა ენერგია მოაქვს.

**– თქვენი ოჯახი ქვეყნის კულტურული იერის განმსაზღვრელი გახდა, თავისი მნიშვნელობით, თავისი მშვენიერებით, ნიჭითა და სიღრმით. შეუძლებელია არ გკითხოთ, ამ ოჯახში, ამ სახლში თქვენი პირველი მკითხველები არიან ოჯახის წევრები? როგორი ურთიერთობა გაქვს თქვენ და მამას შემოქმედებასთან მიმართებით?**

– საკმაოდ რთული, პროფესიული მიდგომა გვაქვს ერთმანეთის ტექსტებთან, რომელსაც ახლავს დამამძიმებელი ფაქტორი – მამაშვილობა. ჩვენ ერთ-ერთი პირველი მკითხველები ვართ ერთმანეთის ტექსტისა. ყველაზე რთული არის დაძაბული მოლოდინი ვერდიქტის მოსმენამდე. შეფასების გაკეთებისას მძიმე წნეხს განვიცდიდით ხოლმე.

* * *

„მომეწონა ამ რომანის სტილი, მხატვრული თხრობა, ვინაიდან თანამედროვე პროზაში, რაც დრო გადის, თითქოს ღარიბდება თხრობის სტილი. მე არ ვსაუბრობ თხრობის სისადავესა და სიმარტივეზე, რაც ძალიან რთული მისაღწევია ნებისმიერი მწერლისთვის. აქ ვგულისხმობ პრიმიტიულ თხრობას, აი, ამ დონეზე: წავიდა, მოვიდა, შეჭამა, დალია და ა.შ. ეს მხოლოდ ჩვენთან არ არის გახშირებული, რაც თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის კრიზისს მიანიშნებს, ჩემი აზრით.

„გმირებს უნდათ სიყვარული, ნამდვილი ურთიერთობა, მაგრამ თითქოს იმდენად დაცლილები არიან, ამ ეპოქამ, ამ დრომ იმდენად გადაუარა მათ, რომ ცვლილების ძალა, ხელახალი სიცოცხლის დაწყების ძალა არ შესწევთ. მაგრამ რომანი მაინც გამონათებით მთავრდება, როცა რეზო ერთ-ერთ მთავარ გმირზე, განგებ არ ვიტყვი რომელზე, წერს სულ ბოლო წინადადებას, რომ ის გაცურავს, რადგან კარგი ცურვა იცის. და ამან დამაფიქრა, რომ ჩვენ ახლა კიდევ სხვა დროში ვცხოვრობთ, მაგრამ ისევ ღია ზღვაში ვართ და სხვა გზა არ არის: კარგი ცურვა ხომ ვიცით და უნდა გავცუროთ და ეგ არის“ – გაგა ნახუცრიშვილი.

* * *

რეზო თაბუკაშვილის „13 დღე“ გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად ხვალიდან, 1 მარტიდან, გაიყიდება.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# გერმანიის მოქალაქეს ფილიპინებზე ტერორისტებმა თავი მოკვეთეს



ფილიპინებზე მოქმედმა ტერორისტულმა ჯგუფმა აბუ საიაფმა გერმანელ მძევალს, 70 წლის იურგენ კანტნერს თავი მოკვეთა.

კანტნერის გატაცება 2016 წლის ნოემბერში მოხდა ფილიპინების სამხრეთში, სადაც კანტნერის იახტას ტერორისტები თავს დაესხნენ და ის მძევლად აიყვანეს. თავდასხმის დროს კანტნერის ცოლი დაიღუპა. მძევლად აყვანის შემდეგ კანტნერის სანაცვლოდ ტერორისტები 600.000 დოლარს ითხოვდნენ, მაგრამ გამოსასყიდი არავინ გადაიხადა.

გამოსასყიდის გადახდის ბოლო ვადა 26 თებერვალი იყო.

27 თებერვალს კანტნერს ტერორისტებმა თავი მოკვეთეს და ვიდეოც გაავრცელეს. აღსანიშნავია, რომ ტერორისტული დაჯგუფება აბუ საიაფი ადამიანებს ხშირად იტაცებს და გამოსასყიდის გადაუხდელობის შემთხვევაში სიკვდილით სჯის მათ.

აბუ საიაფი ჯერ კიდევ 90-იან წლებში შეიქმნა და ამჟამად ისლამურ სახელმწიფოსთან ერთად მოქმედებს.

აბუ საიაფში დაახლოებით 400 ტერორისტია გაერთიანებული.

# ტრამპი თავდაცვაზე მეტი თანხის გამოყოფას აპირებს



ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი შემდეგი წლიდან ბიუჯეტის ფორმირებას ქვეყნის თავდაცვის ხარჯებზე გაზრდის გათვალისწინებით მოითხოვს.

ამის გამო ტრამპი არ გამორიცხავს, რომ რამდენიმე სახელმწიფო უწყებას დაფინანსება შეუმცირდეს, მაგალითად, აშშ-ის გარემოს დაცვის ფედერალურ სააგენტოს. ტრამპის თქმით, აუცილებელია, რომ აშშ-ის თავდაცვა კიდევ უფრო ძლიერი და სრულყოფილი იყოს.

პენტაგონმა აშშ-ის კონგრესს დაფინანსების გაზრდა შესთავაზა და ეს თანხა 30 მილიარდ დოლარს აღემატება.

კონგრესი, სავარაუდოდ, ამ წინადადებას მიიღებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# ისრაელის პარლამენტი მოკლე კაბებისთვის დრეს-კოდს არ შეცვლის



ისრაელის პარლამენტმა გადაწყვიტა, მოკლე კაბების სასარგებლოდ არ შეცვალოს დრეს-კოდი.

2016 წლის დეკემბერში ქნესეტში მომუშავე 30-ზე მეტი ქალი თანამშრომელი შეეცადა პარლამენტის შენობაში მოკლე კაბით შეეღწიათ. აქციის მონაწილეთა დიდი ნაწილი საბოლოოდ მაინც შეუშვეს შენობაში, ზოგიერთს სათადარიგო ჩასაცმელი ჰქონდა წამოღებული, მაგრამ ოთხ თანამშრომელს მაინც უარი ეთქვათ შესვლაზე.

ამის შემდეგ მოწვეულ იქნა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ქნესეტის წევრები და პარლამენტის თანამშრომლები. მოქმედი აკრძალვები, რომლებიც ჩასაცმელის სახეობას და კაბის სიგრძეს შეეხებოდა, ძალაში დარჩა, მაგრამ ამავე დროს, ქნესეტის პრეს-მდივნის თქმით, მოთხოვნების შესრულების ახალი მექანიზმი იქნება შემოღებული. თავდაპირველად მისი დამრღვევი გაფრთხილებას მიიღებს და მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში აეკრძალება პარლამენტის შენობაში შესვლა.

# 2017 წლის საუკეთესო პლაჟები გამოვლინდა



ცნობილი გახდა 2017 წლის მსოფლიოს საუკეთესო პლაჟები, ამ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა ტურისტულ სერვის თრიპედვისორ-ზე დაყრდნობით ავრცელებს.

მსოფლიო რეიტინგში პირველ ადგილს ბაია-დუ-სანშუ (არქიპელაგი ფერნანდუ-დი-ნორონია, ბრაზილია) იკავებს. პლაჟმა საუკეთესო შეფასება, წყლის სისუფთავის, იდეალური დაივინგისა და პანორამული ხედებისთვის მიიღო. ასევე აღსანიშნავია, რომ არქიპელაგი ფერნანდუ-დი-ნორონია და ატოლი როკასი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შედიან.

პირველ ათეულში ასევე მოხვდნენ კუნძულ პროვიდენსიალესის პლაჟები (ტერკსი და კაიკოსი), კარიბის ზღვის კუნძულ არუბას, კუნძულ ლარგო-დელ-სურის (კუბა), სიესტა-კი (ფლორიდა, აშშ) პლაჟები.

გარდა ამისა, ტოპ-10-ში წარმოდგენილია სან-სებასტიანის (ესპანეთი), კუნძულ ისლა-მუხარესის (მექსიკა), კუნძულ ხევლოკის (ინდოეთი), კუნძულ ელაფონისის (კრიტი). ასევე პუერტო-აიორას (გალაპაგოსის კუნძულები) პლაჟები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ტრამპის რეიტინგი ეცემა



„უოლ სთრით ჯორნალისა“ და „ნიუ-იორკ ტაიმსის“ გამოკითხვებით, ამერიკელთა 55% ტრამპის მოღვაწეობას ნეგატიურად აფასებს. პრეზიდენტით კმაყოფილი მხოლოდ 32%-ია.

შეკითხვაზე, თვლით თუ არა, რომ ტრამპს ამერიკისთვის სიკეთე სურს, მაგრამ საქმეს თავს ვერართმევს, დადებითი პასუხი 46%-მა გასცა.

ტრამპი ახლად არჩეული პრეზიდენტია. აშშ-ის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ახლად არჩეულ პრეზიდენტს ასეთი დაბალი რეიტინგი აქვს.

სენატორ მაკეინის აზრით, ტრამპს გააჩნია უნიკალური შანსი, რომ თავისი რეიტინგი აამაღლოს. საამისოდ აშშ-ის პრეზიდენტმა უნდა გააძლიეროს ზეწოლა რუსეთზე და აიძულოს პუტინი, უკრაინაში ომი შეწყვიტოს.

– თუკი ტრამპი ამას გააკეთებს, ერთბაშად აშშ-ში ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსი გახდება, – თვლის მაკეინი.

ამასობაში ტრამპმა ჟურნალისტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დააფიქსირა

მან განაცხადა, რომ არ დაესწრება თეთრი სახლის კორესპონდენტების პატივსაცემად გამართულ ვახშამს.

– ჟურნალისტები ცრუ ინფორმაციას ავრცელებენ. მიუხედავად ამისა, მათ ყოველივე კარგს ვუსურვებ, მაგრამ მათ გვერდით სუფრაზე ვერ დავჯდები, – ტრამპმა ეს თავის ტვიტერში ჩაწერა.

# ბანგლადეშმა კოსოვო აღიარა



ბანგლადეშის მთავრობამ გუშინ, 27 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო.

აღნიშნულის შესახებ ბანგლადეშის მინისტრთა კაბინეტის მდივანმა მოჰამად შაფიულ ალამმა განაცხადა.

ბანგლადეშის საგარეო საქმეთა სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაცია მინისტრთა კაბინეტის რეგულარულ სხდომაზე დამტკიცდა.

– მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა წინადადება კოსოვოს დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარების თაობაზე, – განაცხადა მოჰამად შაფიულ ალამმა.

მისი თქმით, ბანგლადეში 144-ე სახელმწიფო გახდა, რომელმაც კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა.

# თურქეთმა სომხეთი გააფრთხილა




თურქეთის პრეზიდენტის მრჩეველმა ტოლჩუმ მთიან ყარაბაღში გამწვავებულ მდგომარეობაზე კომენტარი გააკეთა.

მან განაცხადა, რომ ყარაბაღი აზერბაიჯანის განუყოფელი ნაწილია. ტოლჩუმ სომხეთის ხელისუფლებას მოუწოდა, ამ რეგიონიდან ჯარები გაიყვანოს.

– სანამ გვიანი არ არის, მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანს დაუბრუნეთ! გახსოვდეთ, ყარაბაღის პრობლემა მხოლოდ აზერბაიჯანის პრობლემა არ არის! – თქვა ტოლჩუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს სუპერთასი სამტრედიამ მოიგო

**სამტრედია-ტორპედო 2:1**

**მარტვილი.** მურთაზ ხურცილავა

0:1 გურული (17), 1:1 რაჟამაშვილი (27), 2:1 ბერიაშვილი (58)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, კასრაძე (გოგიაშვილი 89), სანდოხაძე, ახალაძე (სუხომლინოვი 79), დათუნაიშვილი, მანჯგალაძე, მარკოზაშვილი, რაჟამაშვილი, ბერიაშვილი, ჯიქია (სამუშია 70)

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ადამაძე, გურული, ხურცილავა, ქიმაძე, გიგაური (მამასახლისი 70), კუხიანიძე, დოლიძე, მახარობლიძე (ტუღუში 76), ბაბუნაშვილი (საბანაძე 61), კაპანაძე

**გაძევება:** დათუნაიშვილი (90)

საქართველოს სუპერთასის გათამაშებაში სამტრედიამ პირველად მიიღო მონაწილეობა, ხოლო ტორპედო მეორედ ცდილობდა ამ პრესტიჟული ტიტულის დაუფლებას. იმერულ დერბიში უფრო იღბლიანები სამტრედიელები დარჩნენ და მათი პირველივე მცდელობა წარმატებული გამოდგა, ტორპედო კი ისევ ამ ჯილდოს მოლოდინში დარჩა.

არადა, ყველაფერი ქუთაისელთათვის კარგად დაიწყო – ტორპედო მე-17 წუთზე დაწინაურდა. შოთა ბაბუნაშვილის მიერ სამტრედიელთა საჯარიმოში მარჯვნიდან ჩაწოდებულ კუთხურს გიორგი გურულმა მოხდენილი თავური შეაგება და მეკარე უშანსოდ დატოვა.

გოლიდან სამიოდე წუთში გრიგოლ დოლიძის მიერ შესრულებული საჯარიმოს შემდეგ სამტრედიელები ძელმა გადაარჩინა.

ცხადია, ჩემპიონმაც იაქტიურა. 27-ე წუთზე დავით ჯიქიას პასით ანგარიში საყაიმო დავით რაჟამაშვილმა გახადა, რომლის დარტყმის შემდეგ როინ კვასხვაძე უხეშად შეცდა და მარტივად მოსაგერიებელი ბურთი გაუშვა.



თუმცა, ამ მატჩში მარტო ტორპედოელთა მეკარე არ შემცდარა – უხეშად შეცდნენ მატჩის მსაჯებიც – 38-ე წუთზე ბიძინა მახარობლიძემ მეორედ შეარხია სამტრედიელთა კარის ბადე, არბიტრმა ჯერ გოლი ჩათვალა, ხელი მოედნის ცენტრისკენ გაიშვირა, თუმცა ასისტენტთან კონსულტაციის შემდეგ, გადაწყვეტილება შეცვალა. მიზეზი? ასისტენტს ტორპედოელის მხრიდან თამაშის წესის დარღვევა შეტევის განვითარებამდე შეუნიშნავს. შეიძლება ასეც იყო და, თუ იყო, არბიტრისთვის ამის შესახებ დროულად უნდა ენიშნებინა და არა მაშინ, როცა ტორპედოელები და მათი ქომაგები გატანას ზეიმობდნენ.

შესვენებიდან რამდენიმე წუთში ომარ მიგინეიშვილის კარს რეალური საფრთხე შეექმნა, დოლიძის მიერ მარჯვენა ფრთიდან კარის გასწვრივ გაგზავნილ ბურთს თორნიკე კაპანაძემ ფეხი ააცილა.

გაცუდებული შანსისთვის ტორპედოელები უმალ დაისაჯნენ. ერთ-ერთ საპასუხო შეტევაში ტორპედოელთა მეკარე ისევ უხეშად შეცდა და საჯარიმოში შექმნილ არეულობაში გიორგი ბერიაშვილმა სამტრედიელები დააწინაურა.

ამის შემდეგ თამაში ტორპედოელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. უიღბლობა რომ არა, მათ თამაშის გადარჩენა შეეძლოთ. მარტო კაპანაძე ოთხჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ რეალური საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა.

მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. გამარჯვებულ გუნდს ფულადი პრიზი – 50.000 ლარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, დავით მუჯირმა გადასცა, კუთვნილი თასი კი – საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა.

# ლივერპულს აგუერო სურს, კლოპს – ცვლილებები



ინგლისურმა მედიამ ლივერპულის სადღეისო მდგომარეობა მიმოიხილა – კერძოდ კი, კლუბის წარუმატებლობები და გადაჭრით განაცხადა, რომ ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარაზე აუცილებელია ხარისხიანი ფორვარდის მოყვანა. ეს საკითხი განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც ინფორმაციამ გაჟონა, რომ დანიელ სტარიჯი დიდი ალბათობით საბოლოოდ გამოეთხოვება მერსისაიდულ სცენას.

სამაგიეროდ, ალაპარაკდნენ ლივერპულში კუნ აგუეროს გადაბარგებაზე და აცხადებენ, რომ კლუბმა ყველაფერი უნდა გაიღოს, რათა არგენტინელი ენფილდზე აღმოჩნდეს.

ლივერპულს სტაბილურად გამტანი ფორვარდი სჭირდება, აგუეროსთვის კი წლებია უკვე 20 გოლი სეზონის ნორმაა. თუმცა, ფორვარდის გარდა, მარცხენა მცველი და 2 ნახევარმცველიც პრიორიტეტულია. ლივერპულის შანსები გაცილებით დიდი იქნებოდა, სიტის ახალწვეულს, გაბრიელ ჟესუსს ტრავმა რომ არ მიეღო, რომელიც, როგორც მინიმუმ, 3 თვე თამაშგარე მდგომარეობაში იქნება. ბრაზილიელმა ძალიან მარტივად გადასვა აგუერო სათადარიგო სკამზე, რამაც სერიოზული შუღლი წარმოშო გვარდიოლასა და კუნს შორის.

და მაინც, აგუეროს მომავალი „ეტიჰადზე" სერიოზული ბურუსითაა მოცული, გვარდიოლას განსხვავებული სტილის ფეხბურთელები სჭირდება და მას ნაკლებად ხიბლავს ინდივიდუალისტები.

გუნდში რომ ცვლილებებია საჭირო, ამას თავად იურგენ კლოპიც აცხადებს. გერმანელმა სპეციალისტმა ლივერპული 2015 წლის ოქტომბერში ჩაიბარა. მას შემდეგ 500 დღეზე ოდნავ მეტი გავიდა. კლოპმა მერსისაიდელები ევროპის ლიგისა და ინგლისის ლიგის თასის ფინალებში გაიყვანა, თუმცა ორივე შემთხვევაში „წითლები" დამარცხდნენ.

**იურგენ კლოპი:**

– არ ვარ მიჩვეული ისეთ სიტუაციებს, როცა დრო არ მაქვს. მე დრო ყოველთვის მქონდა. ყოველთვის მქონდა გრძელვადიანი კონტრაქტი. ლივერპული არის კლუბი, რომელსაც სურს მწვრთნელთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდეს, თუმცა ეს ყოველთვის მიღწეულ წარმატებაზეა დამოკიდებული.

თუ მომდევნო წლებში ვერ შევძლებთ ვერაფრის მოგებას და ვერც ტიტულებთან ვიქნებით ახლოს, მაშინ მე სამუშაოს გაგრძელება გამიჭირდება. ახლა ჩვენ ყველას გვჯერა, რომ გარკვეული ცვლილებების შემდეგ მაღალი მიზნების მიღწევას შევძლებთ. გვჯერა, რომ ეს მოხდება.

# ბურჯანაძის საუკეთესო მატჩი მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები



ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში ბექა ბურჯანაძის სეზონის საუკეთესო მატჩი და შერმადინის მორიგი სტაბილური გარჯა გამარჯვებით ვერ დაფასდა. ქართველი ლეგიონერების ანდორა სტუმრად მონბუსს შეხვდა და დრამატულ, 2-ოვერტაიმიან ბრძოლაში 84:86 დამარცხდა.

შერმადინის სასტარტო ხუთეულში თამაში ჩვეული მოვლენაა, მაგრამ მონბუსთან ხუთეულში იყო ბურჯანაძეც, რომელმაც შეხვედრა 18 ქულით დაასრულა. ეს შედეგი ბექასთვის სეზონში საუკეთესოა. ბურჯანაძე ანდორელთა ბომბარდირი გახდა – ჩვენებურმა 26 წუთში 18 ქულასთან ერთად 2 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ფორვარდმა 6-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო.

გიორგი შერმადინმა კი 9-დან 4 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო და ჯამში 13 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი დაა 1 ჩაჭრა მიითვალა.

ანდორას 10-10 მოგებ-წაგება აქვს და ესპანური ლიგის ცხრილში მე-8 ადგილზეა. მომდევნო შეხვედრა ქართველების გუნდს შინ მანრესასთან აქვს.

საბერძნეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში მაიკლ დიქსონის აეკმა სალონიკის პაოკი 77:71 დაამარცხა.

დიქსონი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 21 წუთში 6 ქულა, 1 მოხსნა და 3 პასი მიითვალა. საქართველოს ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა 4-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 4 სამქულიანი კი ააცილა.

აეკი 15 მოგებითა და 4 მარცხით მე-3 ადგილზეა, წინ კი მხოლოდ ოლიმპიაკოსი და პანათინაიკოსი არიან.

სლოვენიის საკალათბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში დუდა სანაძის პრიმორსკამ ლიდერ ზლატოროგს უმასპინძლა და 64:78 წააგო.

ქართველმა ლეგიონერმა მოედანზე 27 წუთი გაატარა და 5 ქულა, 1 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა.

პრიმორსკა 10 მოგებითა და 9 მარცხით სატურნირო ცხრილში მე-7 ადგილზეა, მომდევნო მატჩი კი სტუმრად სენჩურთან ელის.

მაკედონიის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-13 ტურში გიორგი შარაბიძის ფენი ინდუსტრისმა სტრუმიცა 97:69 გაანადგურა და რაბოტნიჩკისთან ერთად სატურნირო ცხრილის სათავეში რჩება.

ქართველი ცენტრი მატჩში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 19 წუთში 9 ქულა, 9 მოხსნა (3 შეტევაში) და 3 პასი მოაგროვა. შარაბიძემ 6-დან 3 ორქულიანი და 6-დან 3 საჯარიმო გამოიყენა.

ფენი ინდუსტრისი მომდევნო მატჩს სტუმრად პელისტერთან გამართავს.

# შედეგები

**26 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი. ფინალი**

მანჩესტერი-საუთჰემპტონი ........... 3:2

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-სტოკი ........................ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 26 | 20 | 3 | 3 | 55-19 | 63 |
| 2.ტოტენჰემი | 26 | 15 | 8 | 3 | 50-18 | 53 |
| 3.სიტი | 25 | 16 | 4 | 5 | 51-29 | 52 |
| 4.არსენალი | 25 | 15 | 5 | 5 | 54-28 | 50 |
| 5.ლივერპული | 25 | 14 | 7 | 4 | 54-30 | 49 |
| 6.მანჩესტერი | 25 | 13 | 9 | 3 | 38-21 | 48 |
| 7.ევერტონი | 26 | 12 | 8 | 6 | 42-27 | 44 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 7 | 8 | 36-32 | 40 |
| 9.ვესტ ჰემი | 26 | 9 | 6 | 11 | 35-44 | 33 |
| 10.სტოკი | 26 | 8 | 8 | 10 | 30-40 | 32 |
| 11.ბარნლი | 26 | 9 | 4 | 13 | 28-37 | 31 |
| 12.უოტფორდი | 26 | 8 | 7 | 11 | 30-43 | 31 |
| 13.საუთჰემპტონი | 25 | 8 | 6 | 11 | 28-31 | 30 |
| 14.ბორნმუთი | 26 | 7 | 5 | 14 | 36-51 | 26 |
| 15.სუონსი | 26 | 7 | 3 | 16 | 32-57 | 24 |
| 16.მიდლსბრო | 26 | 4 | 10 | 12 | 19-28 | 22 |
| 17.კრ.პალასი | 26 | 6 | 4 | 16 | 33-46 | 22 |
| 18.ლესტერი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-43 | 21 |
| 19.ჰალი | 26 | 5 | 6 | 15 | 23-50 | 21 |
| 20.სანდერლენდი | 26 | 5 | 4 | 17 | 24-48 | 19 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ოსასუნა ...................... 3:0

ატლეტიკო-ბარსელონა ................. 1:2

ბილბაო-გრანადა ........................... 3:1

ხიხონი-სელტა ................................ 1:1

ვილიარეალი-რეალი ...................... 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 23 | 17 | 4 | 2 | 60-22 | 55 |
| 2.ბარსელონა | 24 | 16 | 6 | 2 | 65-20 | 54 |
| 3.სევილია | 24 | 16 | 4 | 4 | 48-29 | 52 |
| 4.ატლეტიკო | 24 | 13 | 6 | 5 | 44-21 | 45 |
| 5.სოსიედადი | 24 | 14 | 2 | 8 | 37-32 | 44 |
| 6.ვილიარეალი | 24 | 10 | 9 | 5 | 32-18 | 39 |
| 7.ეიბარი | 24 | 11 | 5 | 8 | 39-31 | 38 |
| 8.ბილბაო | 24 | 11 | 5 | 8 | 31-29 | 38 |
| 9.ესპანიოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 33-31 | 35 |
| 10.სელტა | 23 | 10 | 4 | 9 | 37-37 | 34 |
| 11.ალავესი | 24 | 8 | 9 | 7 | 24-29 | 33 |
| 12.ლა პალმასი | 24 | 7 | 7 | 10 | 32-36 | 28 |
| 13.ვალენსია | 24 | 7 | 5 | 12 | 34-43 | 26 |
| 14.მალაგა | 24 | 6 | 8 | 10 | 31-40 | 26 |
| 15.ბეტისი | 23 | 6 | 6 | 11 | 23-37 | 24 |
| 16.ლეგანესი | 24 | 5 | 6 | 13 | 20-39 | 21 |
| 17.დეპორტივო | 23 | 4 | 7 | 12 | 26-39 | 19 |
| 18.ხიხონი | 24 | 4 | 5 | 15 | 26-48 | 17 |
| 19.გრანადა | 24 | 3 | 7 | 14 | 22-52 | 16 |
| 20.ოსასუნა | 24 | 1 | 7 | 16 | 24-55 | 10 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ნორვიჩი-იფსვიჩი ........................... 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ნუმანსია-კადისი ............................ 0:3

ალმერია-მურსია ............................ 2:3

სევილია ბ-ლევანტე ....................... 1:1

ვალიადოლიდი-ლუგო .................... 1:1

სარაგოსა-ხიმნასტიკი ..................... 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ინგოლშტადი-გლადბახი ................ 0:2

შალკე-ჰოფენჰაიმი ......................... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 16 | 5 | 1 | 54-13 | 53 |
| 2.ლაიპციგი | 22 | 15 | 3 | 4 | 41-22 | 48 |
| 3.დორტმუნდი | 22 | 11 | 7 | 4 | 46-23 | 40 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 22 | 9 | 11 | 2 | 39-22 | 38 |
| 5.ჰერტა | 22 | 11 | 4 | 7 | 30-24 | 37 |
| 6.აინტრახტი | 22 | 10 | 5 | 7 | 25-22 | 35 |
| 7.კიოლნი | 22 | 8 | 9 | 5 | 31-22 | 33 |
| 8.ლევერკუზენი | 22 | 9 | 3 | 10 | 34-32 | 30 |
| 9.ფრაიბურგი | 22 | 9 | 3 | 10 | 28-39 | 30 |
| 10.გლადბახი | 22 | 8 | 5 | 9 | 25-29 | 29 |
| 11.მაინცი | 22 | 8 | 4 | 10 | 31-37 | 28 |
| 12.შალკე | 22 | 7 | 6 | 9 | 26-23 | 27 |
| 13.აუგსბურგი | 22 | 7 | 6 | 9 | 21-28 | 27 |
| 14.ვოლფსბურგი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-33 | 22 |
| 15.ვერდერი | 22 | 6 | 4 | 12 | 28-43 | 22 |
| 16.ჰამბურგი | 22 | 5 | 5 | 12 | 21-45 | 20 |
| 17.ინგოლშტადტი | 22 | 5 | 3 | 14 | 19-34 | 18 |
| 18.დარმშტადტი | 22 | 3 | 3 | 16 | 15-43 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-ბოხუმი....................... 0:1

შტუტგარტი-კაიზერი ..................... 2:0

აუე-დინამო .................................... 1:4

**იტალია. სერია ა**

პალერმო-სამპდორია ..................... 1:1

ჯენოა-ბოლონია ............................. 1:1

კროტონე-კალიარი ......................... 1:2

სასუოლო-მილანი .......................... 0:1

კიევო-პესკარა ................................ 2:0

ლაციო-უდინეზე ............................. 1:0

ინტერი-რომა ................................. 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 26 | 22 | 0 | 4 | 55-17 | 66 |
| 2.რომა | 26 | 19 | 2 | 5 | 57-23 | 59 |
| 3.ნაპოლი | 26 | 16 | 6 | 4 | 60-29 | 54 |
| 4.ატალანტა | 26 | 16 | 3 | 7 | 42-26 | 51 |
| 5.ლაციო | 26 | 15 | 5 | 6 | 45-29 | 50 |
| 6.ინტერი | 26 | 15 | 3 | 8 | 41-27 | 48 |
| 7.მილანი | 26 | 14 | 5 | 7 | 37-29 | 47 |
| 8.ფიორენტინა | 25 | 11 | 7 | 7 | 42-35 | 40 |
| 9.ტორინო | 25 | 9 | 8 | 8 | 46-40 | 35 |
| 10.სამპდორია | 26 | 9 | 8 | 9 | 31-32 | 35 |
| 11.კიევო | 26 | 10 | 5 | 11 | 28-34 | 35 |
| 12.კალიარი | 26 | 9 | 4 | 13 | 35-52 | 31 |
| 13.სასუოლო | 26 | 9 | 3 | 14 | 35-42 | 30 |
| 14.უდინეზე | 26 | 8 | 5 | 13 | 28-35 | 29 |
| 15.ბოლონია | 26 | 7 | 7 | 12 | 24-39 | 28 |
| 16.ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 28-41 | 26 |
| 17.ემპოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 15-37 | 22 |
| 18.პალერმო | 26 | 3 | 6 | 17 | 22-50 | 15 |
| 19.კროტონე | 26 | 3 | 4 | 19 | 21-45 | 13 |
| 20.პესკარა | 26 | 2 | 6 | 18 | 27-57 | 12 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტ.ეტიენი-კაენი ............................ 1:0

ლიონი-მეცი ................................... 5:0

მარსელი-პსჟ ................................. 1:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 27 | 19 | 5 | 3 | 78-25 | 62 |
| 2.პსჟ | 27 | 18 | 5 | 4 | 55-19 | 59 |
| 3.ნიცა | 27 | 17 | 8 | 2 | 44-21 | 59 |
| 4.ლიონი | 26 | 15 | 1 | 10 | 54-31 | 46 |
| 5.ბორდო | 27 | 11 | 9 | 7 | 35-33 | 42 |
| 6.სტ.ეტიენი | 27 | 10 | 9 | 8 | 31-22 | 39 |
| 7.მარსელი | 27 | 11 | 6 | 10 | 36-36 | 39 |
| 8.რენი | 27 | 9 | 9 | 9 | 26-31 | 36 |
| 9.ტულუზა | 27 | 9 | 8 | 10 | 31-28 | 35 |
| 10.გენგამი | 27 | 9 | 7 | 11 | 31-35 | 34 |
| 11.ანჟე | 27 | 9 | 6 | 12 | 25-33 | 33 |
| 12.ნანტი | 26 | 9 | 6 | 11 | 22-35 | 33 |
| 13.მონპელიე | 27 | 8 | 8 | 11 | 39-45 | 32 |
| 14.კაენი | 27 | 9 | 4 | 14 | 27-43 | 31 |
| 15.ლილი | 27 | 8 | 5 | 14 | 26-35 | 29 |
| 16.ნანსი | 27 | 7 | 7 | 13 | 18-34 | 28 |
| 17.მეცი | 26 | 8 | 6 | 12 | 25-50 | 28 |
| 18.დიჟონი | 27 | 6 | 9 | 12 | 37-44 | 27 |
| 19.ბასტია | 26 | 5 | 8 | 13 | 22-36 | 23 |
| 20.ლორიანი | 27 | 6 | 4 | 17 | 27-53 | 22 |

**ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი**

იგლზი-ვიტესი ................................ 1:3

ალკმაარი-ზვოლე .......................... 1:1

ფეიენოორდი-პსვ .......................... 2:1

აიაქსი-ერაკლესი ........................... 4:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-ფეირენშე .................... 0:0

სეტუბალი-ბრაგა ........................... 1:1

ბოავიშტა-პორტუ ........................... 0:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ლუცერნი .......................... 3:1

ლოზანა-სიონი ............................... 0:1

სტ.გალენი-ლუგანო ........................ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

სტ.პოლენი-შტურმი ....................... 2:1

**ბელგია. ეროვნული დივიზიონი**

სტანდარდი-მეხელენი .................... 2:2

ანდერლეხტი-გენკი ........................ 2:0

გენტი-მუსკრონი ............................ 3:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ლარისა .................................. 3:0

ირაკლისი-პაოკი ............................. 1:1

ლევადიაკოსი-იანინა ...................... 2:1

ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი ............. 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაბუქი-გენჩლერი ........................ 1:0

ოსმანლი-ბაშაქშეჰირი .................... 0:1

გაზიანთები-ფენერბახჩე ................. 1:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

იაბლონეცი-სპარტა ........................ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლენჩნა-პიასტი ............................... 1:0

ლეგია-ნეცეჩა ................................ 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზვეზდა-დნიპრო ............................. 1:1

ჩერნომორეცი-კარპატი ................. 1:0

შახტარი-ვორსკლა ......................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-სილკებორგი ................. 3:0

ნორდსიელანდი-კოპენჰაგენი ........ 1:1

სონდერიისკე-ბრონდბიუ ............... 1:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# როგორ დავეხმაროთ ბავშვებს ყაბზობის დროს

ეკა ირემაშვილი

კუჭ-ნაწლავის პრობლემებიდან ყველაზე გავრცელებული პრობლემაა შეკრულობა ანუ ყაბზობა.

შეკრულობის მიზეზები მრავალგვარი შეიძლება იყოს. მათ შორისაა კვებითი დარღვევები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა დაავადებები, ნევროგენული დარღვევები – ზურგის ტვინის დაავადებები, პარკინსონის დაავადება, ჰირშპრუნგის დაავადება, სხვადასხვა მედიკამენტის ხანგრძლივი ხმარება, მეტაბოლურ-ენდოკრინული დარღვევები, ფუნქციურ-ფსიქოგენური დარღვევები – ნაკლებად მოძრავი ცხოვრების რეჟიმი, დეპრესია, დეფეკაციის სურვილის შეგნებულად დათრგუნვა. შეკრულობის ეს ბოლო მიზეზი მცირე ასაკის ბავშვებში ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

რა არის ყაბზობა, რა იწვევს მას და როგორ დავეხმაროთ ბავშვებს ამ პრობლემის მოგვარებაში, ამ საკითხებთან დაკავშირებით „ევექსის დიაგნოსტიკური ცენტრის“ პედიატრიული სამსახურის უფროსი თემურ მიქელაძე საუბრობს.

**თემურ მიქელაძე:**

– უჯრედისის გაზრდილი რაოდენობა საკვებ რაციონში არეგულირებს ნაწლავთა პერისტალტიკას და აძლიერებს სავსეობის შეგრძნებას.

***– რა ზომები უნდა მიიღონ დედებმა ყაბზობის პრევენციისათვის?***

– ყაბზობის პრევენციისათვის მიღებული საკვები ბოჭკოების სასარგებლო რაოდენობაა ბავშვის ასაკს დამატებული 5-10 გრამი უჯრედისი დღეში. ამ რაოდენობაზე მეტ მიღებულ დოზას არ აქვს სარგებელი ყაბზობის მართვაში. 12 წლის შემდეგ 20-29 გრამი ბოჭკო დღეში გოგონებისათვის და 20-38 გრამი ბიჭებისათვის.

***– რა როლს თამაშობს ამ პრობლემის მოგვარებაში სითხე?***

– აუცილებლად შეუწყეთ ხელი თქვენს შვილს, მიიღოს 4-8 ჭიქა სითხე დღეში, სასურველია იყოს წყალი, უცხიმო რძე და შაქრის დაბალი შემცველობის არაგაზირებული უკოფეინო სასმელები. ასევე ზომიერი რაოდენობით ვაშლის, შავი ქლიავის და მსხლის წვენები შეიძლება დაეხმაროს ბავშვს ყაბზობის პრევენციაში.

***– რატომ გვჭირდება უჯრედისი?***

– უჯრედისის გაზრდილი რაოდენობა საკვებ რაციონში არეგულირებს ნაწლავთა პერისტალტიკას და აძლიერებს სავსეობის შეგრძნებას.

***– როგორ დავეხმაროთ ბავშვებს საკვები უჯრედისის მეტი რაოდენობით მიღებაში?***

– უჯრედისის შემცველობის ყველაზე მეტ წყაროს წარმოადგენს მარცვლეული პური და ცომეული, პარკოსანი და თხილეული, ხილი და ბოსტნეული, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ბავშვთა კვების სრულფასოვანი ადაპტირებული პროდუქტები. შესთავაზეთ ბავშვს სხვადასხვა მაღალი შემცველობის ბოჭკოვანი საკვები მთელი დღის განმავლობაში, შეურიეთ მაღალი ბოჭკოს შემცველი საკვები პროდუქტები იმ ცომეულს, რომელიც მოსწონს თქვენს შვილს. გამოიყენეთ ყველა მარცვლეულის პური ან თეთრი პური გამდიდრებული ბოჭკოთი, მაგალითად, ყავისფერი ბრინჯი, ხორბლის კრეკერი, ქატოს მაფინი, ქერი, ქატოს ცომეული ან შვრია. ნაკლებად გამოიყენეთ თეთრი ფქვილის პური, ცომეული და სხვა სახამებელი.



თემურ მიქელაძე

შვრია შეიცავს უხსნად ბოჭკოს, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურია ყაბზობის პრევენციისა და მკურნალობისთვის.

***– ბოსტნეულზე რას იტყვით?***

– შესთავაზეთ უმი ბოსტნეული სტაფილო, ჯაკამა, ჩერი პომიდორი წასახემსებლად ან საკვებში, მუქი მწვანე სალათის ფურცლებით მომზადებული სალათი.

***– ხილი?***

– შესთავაზეთ ხილი კანით. სორბიტოლის შემცველობის გამო შავი ქლიავი ან მსხალი მოქმედებს როგორც ბუნებრივი ლაქსატივი. საჭიროების შემთხვევაში თქვენს შვილს შესთავაზეთ საშუალო რაოდენობით 1/2 ან 1 ჭიქა სორბიტოლის შემცველი წვენები – შავი ქლიავის, ვაშლის, ან მსხლის ყოველდღე, თუმცა გახსოვდეთ, ცოცხალი ხილი შეიცავს უფრო მეტ უჯრედისს, ვიდრე წვენი.

შეეცადეთ მთელი დღის განმავლობაში მიიღოს 2-4 სუფრის კოვზი ქატო ნებისმიერი ფორმით, თუმცა ქატოს მიღების შემთხვევაში, წყლის რაოდენობა უნდა გაიზარდოს 30%-ით.

დაამატეთ თხილეული ან მარცვლეულის თესლები პურში და სალათებში, ან გამოიყენეთ ისინი წასახემსებლად. არ არის რეკომენდებული 5 წლამდე ასაკის ბავშვებში.

წაიკითხეთ საკვების ეტიკეტები და ეძებეთ საკვები, რომელშიც თითოეულ პორციაში 3 ან მეტი გრამი ბოჭკო იქნება. დღის განმავლობაში ბავშვის კვება უნდა მოიცავდეს ნებისმიერი მარცვლით ან ქატოთი მომზადებულ 3 პორცია პურს ან ცომეულს.

***– რა დოზით უნდა მიიღოს ბავშვმა ხილი და ბოსტნეული?***

– ეცადეთ თქვენმა შვილმა 5 ან მეტი პორცია ხილი ან ბოსტნეული მიიღოს დღეში. ასევე შეიძლება იყოს ლობიოც. გახსოვდეთ, საკვებში უჯრედისის შემცველობის ზრდასთან ერთად გაზარდეთ წყლის რაოდენობა!

***– ჩვენს მკითხველს გააცანით მაღალი შემცველობის ბოჭკოვანი საკვები.***

– ხილი: მსხალი, მარწყვი, ვაშლი, მშრალი ხილი, მაგალითად ქიშმიში, პაპაია, ატამი, ქლიავი, მანგო, ატამი და ავოკადო.

ბოსტნეული – უმი ან მოხარშული: ჭრელი ლობიო, ტკბილი კარტოფილი, ოსპი, ჯიკამა, პომიდორი, გამომცხვარი კარტოფილი კანით, სიმინდი, ბარდა, ბროკოლი, კომბოსტო, ისპანახი, ყვავილოვანი კომბოსტო და სტაფილო.

## ბრაზილიური კარნავალის მონაწილეები შეურაცხმყოფელ სიმღერებზე უარს ამბობენ




2017 წლის ბრაზილიური კარნავალის ზოგიერთი მონაწილე უარს აცხადებს შეურაცხმყოფელი შინაარსის სიმღერებზე.

გავრცელებული ინფორმაციით, სულ უფრო მეტი „ბლოკები“ (კარნავალის ქუჩის საღამოები და მათი ორგანიზატორები) მიდიან ტრადიციის წინააღმდეგ და აღარ ასრულებენ სიმღერებს, რომელთა ტექსტი შეიძლება ჩაითვალოს სექსისტურად, ჰომოფობიურად ან რასისტულად.

„კარნავალი პოლიტიკურმა“ განაცხადა, რომ ბრაზილიაში კარნავალი გამოხატავს იმ ყოველივეს, რასაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის თუ რამდენად ბევრი „ბლოკი“ იტყვის უარს შეურაცხმყოფელი სიმღერების შესრულებაზე და რატომ გამოიწვია ამ სიტუაციამ ამდენი კამათი. ზოგიერთი კომენტატორის ვარაუდით, მიზეზი შესაძლოა ბრაზილიაში შექმნილი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ვითარება იყოს.

## შეცდომით გასამართლებული იტალიელი 20-წლიანი პატიმრობის შემდეგ გათავისუფლდა

მკვლელობისთვის გასამართლებული იტალიელი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი და პატიმრობიდან 20 წლის შემდეგ გათავისუფლდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საუბარია 55 წლის ტარანტოს პროვინციის ქალაქ ფრაგანიანოს მცხოვრებ ანჯელო მასაროზე. მანამდე ქალაქ კატანზაროს სასამართლომ ის დამნაშავედ მიიჩნია 1995 წლის 22 ოქტომბერს მომხდარ ლორებცო ფერსურელის მკვლელობაში და 24-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

ბრალდება აგებული იყო მოსმენების მონაცემებსა და ინფორმატორისგან მიღებულ ინფორმაციებზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ მასაროს მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ მას მესამე პირმა აცნობა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოსმენილი არასწორად იქნა გაგებული, გარდა ამისა, გასამართლებულის ადვოკატმა მოახერხა დაემტკიცებინა, რომ მკვლელობის ღამეს მისი კლიენტი სულ სხვა ადგილას იმყოფებოდა.

ამ ყველაფრის შედეგად ქალაქ კატანზაროს იმავე სასამართლომ დააკმაყოფილა აპელაცია და მასაროს ციხიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო. ახლა უკვე იტალიელის დამცველს მოუწევს იმ კომპენსაციის შეფასება, რომელსაც მისი კლიენტი იუსტიციის სამინისტროსგან მოითხოვს თავისი უკანონო პატიმრობისთვის.



პატიმრობიდან გათავისუფლებული მასაროს თქმით კი ვერაფერი გამოისყიდის იმ ტანჯვა-წვალებას, რომელიც მან გადაიტანა, თუმცა ის იბრძოლებს სამართლიანობის მიღწევისა და იმისთვის, რომ დაისაჯონ ისინი, ვინც მასთან მიმართებით ასეთი მძიმე შეცდომა დაუშვა.

ციხეში ყოფნის პერიოდში მასარომ კატანზაროს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

## საფრანგეთში ყველაზე ძვირადღირებული რომი გაიყიდა




საფრანგეთში 100 ათას ევროდ გაიყიდა მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული რომის ბოთლი, რომელიც საფრანგეთის რომის სახლის ჩლემენტ-ს და ფილიპ ტურნეირის საიუველირო სახლის ერთობლივ ნაწარმოებს წარმოადგენს.

ბოთლი რომი, რომელიც ბაკარას მარკის ბროლისგანაა დამზადებული და, რომელიც დამშვენებულია 18 კარატიანი ოქროთი, ასევე ოთხკარატიანი ბრილიანტებით, იტალიელმა შეიძინა, რომლის სახელი უცნობია.

აღსანიშნავია, რომ ბოთლში ასხია 1966 წლის რომი, რომელიც აქამდე არასოდეს გამოუტანიათ გასაყიდად. სულ მსოფლიოში ასეთი რომის 40 ბოთლი არსებობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადება

**2017 წლის 22 თებერვლის №44-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში შეტანილია ცვლილება, კერძოდ, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვა ნაცვლად მ.წ. 17 აპრილისა, გაიმართება მ.წ. 18 აპრილს ქ.გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ.გარდაბანი, ალმაშენებლის ქუჩა №127).**

**საკონტაქტო პირი – ქეთევან ნადირაშვილი, ტელ: 595-08-96-46.**

**ადმინისტრაცია**

## ასტროპროგნოზი

**28 თებერვლისთვის**



**ვერძი** – სასიცოცხლო პოტენციალი და სექსუალური ენერგია იზრდება. გელით რომანტიკული შეხვედრა. **კურო** – დღის პირველი ნახევარი კონფლიქტურია. საღამოს მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **ტყუპები** – საქმე თავზე საყრელად გაქვთ, რაც სულიერ წონასწორობას გირღვევთ. ეცადეთ, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. **კირჩხიბი** – თქვენი ბიუჯეტი იზრდება. ნებისმიერ საქმეს თამამად მოჰკიდეთ ხელი. **ლომი** – ოპტიმიზმი და ენერგიულობა ყოველგვარი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ. დაკისრებული საქმე გულმოდგინედ შეასრულეთ. **ქალწული** – საყვარელ ადამიანთან შეხვედრა სასიცოცხლო ძალას გმატებთ. ნებისმიერ სიტუაციაში თავს დიდებულად გრძნობთ. **სასწორი** – მძიმე დღეა. მაქსიმალურად ეცადეთ, მხოლოდ საკუთარი მოვალეობები შეასრულოთ. თავს ნუ გადაიტვირთავთ. **ღრიანკალი** – ენერგეტიკული პოტენციალი მაღალია. ოჯახის წევრებთან სათუთი ურთიერთობა გაქვთ. **მშვილდოსანი** – ფასეულობების გადაფასების დროა. ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანთან გულის გადაშლას. **თხის რქა** – სულიერ სრულყოფაზე იზრუნეთ. სიტუაცია რეალურად შეაფასეთ. დაიტვირთეთ მინიმალურად. **მერწყული** – ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად შესანიშნავი პერიოდია. რისკი გაამართლებს. **თევზები** – პასიური დღეა. მოაწესრიგეთ დოკუმენტები. დღის მეორე ნახევარი ბუნებაში გაატარეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. უძველესი ქართული სამეფო; 3. ტროპიკული ლერწამი, რომლისგანაც ძველ ეგვიპტეში ამზადებდნენ საწერ მასალას; 4. მცენარეთა გამოსაზამთრებელი სათბური; 5. ლხინი, დროსტარება; 6. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 8. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 14. მათემატიკის ნაწილი; 15. ზღვისპირა კურორტი აფხაზეთში; 16. მასმედიის ერთ-ერთი სფერო; 17. პლანეტა მარსის ქართული სახელწოდება; 19. პრივილეგიური მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 21. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 22. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი.

**თარაზულად:** 1. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 5. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ავი სული; 7. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 9. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 10. ოჯახის დედის სახელწოდება იტალიაში; 12. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 16. მძიმეწონიანი ტვირთების გადასაზიდი, მისაბმელიანი ავტომობილი; 17. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 18. აღმოსავლური ტკბილეული; 20. მეტროს სადგური თბილისში; 22. ხელოვნების მუზეუმი ფლორენციაში; 23. წითელი ფერის ძვირფასი ქვა; 24. ზიარებისთვის განკუთვნილი მაღალხარისხოვანი ღვინო; 25. ესპანური სპორტული გაზეთი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. პარონიმი; 7. ფსიქიკა; 8. ნატრი; 9. ერატო; 10. ფითრი; 13. ანტონ; 15. კრიმანჭული; 18. მუდრეგი; 20. პონი; 21. ბინული; 23. ვეტერინარი; 24. ელარჯი.

**შვეულად:** 1. პარმეზანი; 2. ცირკონი; 3. ტირიფი; 4. სიონი; 5. სკერცო; 11. როტარუ; 12. მაჭარი; 14. ორთი; 16. რეზიუმე. 17. სპიდვეი; 19. გეპარდი; 21. ბრიჯი; 22. პაიკი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ტიტანი; 2. რეგალია; 3. აგა; 4. საინი; 5. კიი; 6. ეშმაკი; 7. სვია; 8. პინია; 9. აკინაკი; 10. იკაროსი; 11. სი; 12. პაქტი; 13. სპორა; 14. პასკვილი; 15. ზი; 16. ვიგვამი; 17. ინა; 18. იზაი; 19. ბრა; 20. ელი; 21. მაკარტი; 22. აგორა; 23. თავადი; 24. ტაბუ; 25. კრივი; 26. კარაკალი; 27. რე; 28. კიურასაო; 29. რიალი; 30. არტისტი; 31. ბლე; 32. „ალია“; 33. არხარი; 34. კარაველა.

**სურათებზე:** ტარა რიდი; ვლად კირიკეში.

# „ნიჭიერის“ გამარჯვებულმა მოგებული ბინა ოფიციალურად მიიღო

„ნიჭიერის“ ერთ-ერთი ბოლო სეზონის გამარჯვებულმა, მომღერალმა ეკა აბულაძემ პროექტის მთავარი ჯილდო ბინა ოფიციალურად მიიღო.

რუსკა მაყაშვილის ოქ-



როს ღილაკის მფლობელ მომღერალს ბათუმში მდებარე ოროთახიანი ბინის გასაღები სამშენებლო კომპანია სალვუს დეველოპმენტმა გადასცა.

ეკა აბულაძემ პრიზი მეუღლესთან ერთად საზეიმო ვითარებაში მიიღო. 28 წლის თვითნასწავლი მომღერალი ყველაზე სახალხო შოუს მეშვიდე სეზონის გამარჯვებული გახდა, მან მაყურებლის მიერ დაფიქსირებული 134.506 ხმიდან ყველაზე მეტი – 42% მიიღო.

ეკა აბულაძის შოუში გამარჯვებამ მაყურებელში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ჩაწყობებზე ალაპარაკდა, თუმცა მომღერალმა განაცხადა, რომ საზოგადოება შეცდომაშია შეყვანილი და ის ღვარძლიანი ადამიანების ნათქვამზე კომენტარის გაკეთებას არ აპირებს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ შოუს დასასრულს კი განაცხადა, რომ მომდევნო სეზონიდან, უკვე იქს ფაქტორიდან, გამარჯვებული გამოვლინდება არა ზარების ოდენობის, არამედ ზარის გამშვები ადამიანების ოდენობის მიხედვით.

# ქართულმა ფილმმა ჰოლივუდში ხუთ ნომინაციაში გაიმარჯვა

ქართულმა დოკუმენტურმა ფილმმა ჰოლივუდში გაიმარჯვა.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ გადაღებულმა ფილმმა „ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ ჰოლივუდის დამოუკიდებელი დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე ხუთ ნომინაციაში გაიმარჯვა.



ნომინაციაში „საუკეთესო პროდიუსერი“ პრიზი შალვა ხეცურიანმა აიღო.

ნომინაციაში „საუკეთესო სცენარის ავტორი“ პრიზი თამარ ბართაიას გადაეცა.

ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისორი“ პრიზი ნანა ჯორჯაძემ მიიღო.

ნომინაციაში „საუკეთესო დამდგმელი ოპერატორი“ პრიზი მიხეილ კვირიკაძეს ერგო.

ნომინაციაში „როლის საუკეთესო შემსრულებელი“ კი პრიზი რევაზ ხეცურიანს მიენიჭა.

„ღვინის ნულოვანი მერიდიანი“ დაფინანსებულია „მარანი ხეცურიანი“-ის მიერ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით.

ფილმს უკვე რამდენიმე ჯილდო აქვს მოპოვებული, ესპანეთში გამართულ ღვინის საერთაშორისო კინოფესტივალზე შარშან ნამუშევარმა წლის საუკეთესო საერთაშორისო ფილმის ტიტული მოიპოვა, საფრანგეთში გამართულ ღვინის კინოფესტივალზე მიიღო ჟიურის სპეციალური პრიზი, როგორც წლის საუკეთესო ენოლოგიური ფილმი. ფილმის ჩვენება ეინდჰოვების კინოფესტივალზეც გაიმართა.

# მუსიკალურ პროექტში „ტი სუპერ!“ ქართველი მომღერალიც მონაწილეობს



ტელეკომპანია ენტევეს მუსიკალურ პროექტში „ტი სუპერ!“ ქართველი მომღერალიც მონაწილეობს.

პროექტი საერთაშორისოა და მასში სხვადასხვა ქვეყნის მომღერლები მონაწილეობენ. ორგანიზატორები იწვევენ ნიჭიერ, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს და აძლევენ შანსს, საკუთარი თავი კიდევ უფრო მეტ ადამიანს გააცნონ.

პროექტის მონაწილეები ბავშვთა სახლების, სკოლა-ინტერნატებისა და მიმღები ოჯახების ბავშვები არიან. ტალანტების შოუში საქართველოდან 12 წლის ნანა ვარძელაშვილი მონაწილეობს, რომელმაც ტელეკომპანიის შესარჩევ ტურში გაიმარჯვა.

საბავშვო კონკურსი უკვე დაიწყო, ტელეკომპანია „ენტევეს“ ეთერში გადაცემის სამი ჩანაწერი გავიდა, თუმცა ქართველი კონკურსანტი ჯერ არ გამოჩენილა.

– დიდი მადლობა ნდობისთვის. თქვენს ნდობას აუცილებლად გავამართლებ და საქართველოში გამარჯვებული დავბრუნდები, – განუცხადა ნანა ვარძელაშვილმა ჟურნალისტებს.

ნანა ქარელი რაიონის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის გიმნაზიის ვოკალის პედაგოგმა მანონი მანაგაძემ აღმოაჩინა:

– თავიდან არ მჯეროდა, რომ ნანა შეძლებდა და მონაწილეობას მიიღებდა ასეთ მასშტაბურ პროექტში. ეს ოცნებაც არაა, ეს სასწაულია! ჩვენ ასეთ პროექტზე ოცნებასაც ვერ გავბედავდით. ყველა გაკვირვებული ვიყავით და ბოლომდე ვერ ვიჯერებდით, რომ ეს სიმართლე იყო. ამიტომ მსურს მადლობა გადავუხადო ყველას იმისთვის, რომ ადამიანებს საკუთარი თავის რეალიზებაში დახმარებას უწევთ. ეს უკვე გამარჯვებაა, ჩვენი ბავშვი ასეთ კონკურსში რომ მონაწილეობს.

პროექტის ახალბედა მონაწილეს მხარს უჭერს მომღერალი ირმა სოხაძე:

– ნანა ძალიან კარგი გოგონაა. მთავარია, სცენაზე გულწრფელი იყოს და მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი თავი. ეს ძალიან კეთილი საქმეა, როდესაც ბავშვებს შანსს აძლევ დადგნენ სცენაზე, არადა მათ ამაზე ოცნებაც არ შეეძლოთ. სამწუხაროა, რომ საქართველოში მსგავსი პროექტი არ გვაქვს და შეიძლება ამაზე ფიქრი დავიწყოთ. ნანუკა ნიჭიერი გოგონაა, კარგი სმენა აქვს, კარგი ხმა და, ალბათ, კონკურსზე სწორედ ასეთი ბავშვები სჭირდებათ. მიხარია, ამ კეთილ გარემოში რომ ვარ. დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას. გული მწყდება, რომ ბოლო ეტაპზე ჩავერთე ამ ამბავში და კასტინგშიც უფრო აქტიური მონაწილეობა არ მივიღე, ნანუკას მომზადებაშიც რაღაც წვლილი არ შევიტანე. მე დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი ამას. მომავალში მიგულეთ თქვენ გვერდით. ეს არის საოცრად კეთილი საქმე, როდესაც ჩვენ ბავშვებს ვაძლევთ შანსს, რასაც სხვა შემთხვევაში ვერც კი წარმოიდგენდნენ.

პროექტის წამყვანმა ვადიმ ტაკმენევმა ყველა მონაწილეს სპეციალური ვიდეო-მიმართვა გაუგზავნა და წარმატებები უსურვა:

– გამარჯობათ, ბავშვებო. ერთი სული მაქვს გითხრათ, რომ სულ რამდენიმე საათში თქვენ ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყება და ეს ყველაფერი იმიტომ, რომ შენ სუპერ ბავშვი ხარ. თქვენ სუპერ-გოგონები და სუპერ-ბიჭები ხართ, სულ მალე ერთ-ერთ ყველაზე ნათელ და დაუვიწყარ მოგზაურობაში გაემგზავრებით. ასეთი შანსი ყველას არ ეძლევა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, თითოეული თქვენგანი ამას იმსახურებს.

# ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში მწერლის იუბილე აღნიშნეს



მწერლის, პუბლიცისტისა და მთარგმნელის ივანე მაჩაბლის დაბადებიდან 163 წლის იუბილე საზოგადო მოღვაწის სახლ-მუზეუმში ჩატარდა.

სპეციალურ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სოფელ წეროვნის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მათ წარმოადგინეს ინსცენირება ივანე მაჩაბლისა და ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეფე ლირი“-დან, წაიკითხეს ივანე მაჩაბლის თარგმნილი შექსპირის სონეტები და საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი, მისივე პირადი წერილები.

საღამოზე წარმოადგინეს, სხვადასხვა მწერლების მიერ მიძღვნილი ლექსები და მოგონებები ივანე მაჩაბელზე, ხოლო მუზეუმის თანამშრომელმა ცისანა ბეგიაშვილმა კი სტუმრებს ივანე მაჩაბლის ბიოგრაფია და მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა გააცნო.

ივანე მაჩაბელი 44 წლის იყო, როდესაც უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სპორტი

# მილანი ზაფხულში სესკ ფაბრეგასის ყიდვას შეეცდება



იტალიური მილანი ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარის დროს, ლონდონის ჩელსის ესპანელი ნახევარმცველის, სესკ ფაბრეგასის ყიდვას შეეცდება.

ამის შესახებ ინფორმაცია იტალიურ პრესაში ვრცელდება.

ფაბრეგასი არცთუ ხშირად ხვდება ჩელსის ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო მან შესაძლოა ლონდონური კლუბი დატოვოს.

მილანი ფაბრეგასის ტრანსფერში საკმაოდ სოლიდურ თანხას, 27 მილიონ ევროს, იხდის და ჩელსი ამ ფასს სავარაუდოდ დათანხმდება.

უფრო მეტი დეტალი ამ ტრანსფერის შესახებ უკვე ზაფხულში გახდება ცნობილი.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# მანჩესტერი ლივერპულს დაეწია, მოურინიო – ფერგიუსონს



მანჩესტერ იუნაიტედმა ლიგის თასის ფინალურ შეხვედრაში საუთჰემპტონს 3:2 მოუგო და წელს პირველი ტიტულის მფლობელი შეიქნა. ამ გამარჯვებით მანკუნიანელებმა 44-ე ტიტული მოიპოვეს და ლივერპულს გაუთანაბრდნენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ მანჩესტერელთა თავკაცმა ჟოზე მოურინიომ ლიგის თასი მეოთხედ მოიგო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტიტულის მოგებათა რაოდენობით ბრაიან კლაფსა და სერ ალექს ფერგიუსონს გაუტოლდა.

მოგებულებს არ ასამართლებენ და იუნაიტედის ფანებიც არ უნდა იყვნენ უკმაყოფილნო, მაგრამ საუთჰემპტონის ქომაგებს კი მაგრად დასწყდებოდათ გული, შესანიშნავად ნათამაშები ფინალის შემდეგ „წმინდანები“ მაინც ხელცარიელნი რომ დარჩნენ.

უხვგოლიან მატჩში მანოლო გაბიადინიმ შეხვედრის დებიუტში შეარხია დე ხეას კარის ბადე, მაგრამ გოლი თამაშგარე მდგომარეობის გამო არ ჩაითვალა, თუმცა იტალიელმა მოგვიანებით მაინც შეძლო დუბლის გაფორმება.

სანამ გაბიადინი დუბლს გაიფორმებდა, მანამდე მსაჯის საეჭვო გადაწყვეტილებას იუნაიტედის შეტევა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის ეფექტური ჯარიმა მოჰყვა – 1:0. შემდეგ კი ჯესი ლინგარდის გოლით ანგარიში 2:0 გახდა.

ამის შემდეგ იყოჩაღა გაბიადინიმ: ჯერ ტაიმის მიწურულს შეამცირა სხვაობა, ხოლო მეორე ტაიმის განახლებისთანავე გაათანაბრა.

კლოდ პიუელის ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და ვიდრე იბრაჰიმოვიჩი გამარჯვების გოლს გაიტანდა, ორიელ რომეუმ ხარიხა შეაზანზარა, მაგრამ ბედმა მაინც ძლიერს გაუღიმა. მანჩესტერი მეხუთედ გახდა ლიგის თასის მფლობელი და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ლივერპულს (8) ჩამორჩება.

მოურინიომ პირველი მანჩესტერული ტიტული მოიგო, მაგრამ ლიგის თასის ოთხი ფინალიდან ოთხივე მოგებული აქვს. პორტუგალიელმა იგივეს 2005, 2007 და 2015 წლებში ჩელსისთან ერთად მიაღწია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოურინიო იუნაიტედის ისტორიაში პირველი მწვრთნელია, რომელმაც „ოლდ ტრაფორდზე“ მუშაობის პირველივე სეზონში მოახერხა ტიტულის მოგება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## პროგრამა

**სამშაბათი
28 თებერვალი**

07.00 დოკ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" 08.00 "მადაგასკარის პინგვინები" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 დოკ/ფ 15.00, 02.40 "X სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 03.40 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 22.00 სპორტული თოქ-შოუ . სპორტი 360 23.00 მხ/ფ "**ველური მდინარე**" (მ.სტრიპი) 00.50 მხ/ფ "**ქალთა ხვედრი**"

08.00 დ/ფ "ყალმუხეთის ბუდისტი ბერები" 09.00 დ/ფ "სიყვარულის სახელით" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 "აფხაზეთი" 11.00 დ/ფ "ევროპის შუაგულში" 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "**ბრძოლა**" (ჩ.ტატუმი)

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 დღის შოუ 17.35 სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 9 სერ. 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 ცოდნა ფულია 23.30 სერ. "**იმედის ქარი**" 5 სერ. 00.45 მხ/ფ "**სილამაზე ამერიკულად**" 03.15 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**"

06.00, 16.55 სერ. "**ოქროს გალია**" 06.45, 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 19.00, 20.03 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 20.50 ლოტო 22.00 არჩევანი

08.00 ან/სერ. "ატომი" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00 სერ. "**მშობლები**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 მხ/ფ "**ბეოვულფი**" 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 მხ/ფ "**კოკაინი**" 00.00 18+ 01.00 მხ/ფ "**ქალადობის ისტორია**" 02.50 მხ/ფ "**გატეხილი ისარი**"

06.10 სპექტაკლი "**ეს არ უნდა მომხდარიყო**" 07.00 სათავეებთან "ქართული ასომთავრული" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 პატერიკი-რატომ ალიკვეცა ბერად ერთი ქრისტიანი 10.40 წმინდა ეფრემ ასურის ლოცვის განმარტება 10.50 დ/ფ "ფიქრები 1921 წლის თებერვალზე" 11.40 საეკლესიო აღმშენებლობა 12.10 მოკ. მხ/ფ "**მტრედები**" 12.30 საქართველო ევროპულ ოჯახში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 თბილისის ტაძრები "ჯვრის მამა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი-(საკითხავი) 15.40 დ/ფ "ველური ბუნება" 16.10 ქრისტიანული ხელოვნება "ექსლიბრისის ხელოვნება" 16.30 წმინდა ანდრია კრიტელის დიდი კანონი (მსახურება) 17.05 ეპოქა და ადამიანები "სქემარქიმანდრიტი ვიტალი სიდორენკო" 17.45 სიბრძნისმეტყველება 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სამყაროს შექმნა 19.50 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა "საუბარი ეკლესიაზე" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ღვთის სახლი 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 7.50 "ქვიშის ზღაპარი" 8.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 10.00, 1.30 სერ. "**ორი გული**" 11.00 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" 14.30, 15.30 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50, 20.55 სერ. "**ვერონიკა**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.50 თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" 22.50 სერ. "**ესკობარი**" 1.00 "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

28 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.5883

ევრო — 2.7402

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2470

100 რუსული რუბლი — 4.4717

## ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის





## 28 თებერვლიდან




### ჩემი პირველი პოეზიის ანთოლოგია

წიგნში შეტანილია მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული 87 ქართველი პოეტის 293 საბავშვო ლექსი, რომლებიც დალაგებულია ასაკისა და თემატიკის მიხედვით. იგი დაეხმარება ბავშვს სიტყვათა მარაგის დაგროვებასა და აქტიურად გამოყენებაში.

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## 1 მარტიდან




რეზო თაბუკაშვილი

### 13 დღე

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## 10 მარტიდან

120 ამბავი

### ალექსანდრე მაკედონელი




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




## 3 მარტიდან

გია ბუღაძე

### 200 ამბავი მხატვრობაზე

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## იუმორი



ქალაქიდან რაიონში ჩასული ლექტორი გლეხებს ლექციას უკითხავს:

— მეგობრებო, აი, თქვენ წინაშეა ალექსანდრე მაკედონელის თავის ქალა, როდესაც ის შვიდი წლის იყო. აი, ეს კი მისი თავის ქალაა 25 წლის ასაკში და ბოლოს გარდაცვლილი ალექსანდრე მაკედონელის თავის ქალა. შეკითხვები გაქვთ?

— მაქვს.

— რა გაინტერესებთ?

— თუ შეიძლება მიპასუხეთ, როგორ შეიძლება, რომ ერთ ადამიანს სამი თავის ქალა ჰქონდეს?

— მომიტევეთ და თქვენ ვინ ხართ?

— სტუმარი ვარ, ქალაქიდან.

— დატოვეთ ლექცია, ის მხოლოდ გლეხებისთვისაა.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— შვილი მყავს, ნამდვილი ვუნდერკინდია. სკოლა თერთმეტი წლისამ დაამთავრა.

— მართლა? მერე?

— მერე არაფერი, თორმეტის ჯარში წაიყვანეს...

•••

სტუდენტი ქუჩაში შეხვდა თავის ლექტორს, რომელმაც გამოცდაზე ჩაჭრა და მიესალმა:

— გამარჯობათ.

— მე უტვინოებს არ ვესალმები.

— მე კი ვესალმები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## ვიქტორ ჰიუგო

# საბრალონი

| 23 თებერვლიდან ტომი I | 27 თებერვლიდან ტომი II | 2 მარტიდან ტომი III | 6 მარტიდან ტომი IV |
|---|---|---|---|
|  |  |  |  |
| ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი | ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი |


## მარგველაშვილისა და ღვინიაშვილის ოქროები დიუსელდორფიდან



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა დიუსელდორფის გრან პრიზე 45 ქვეყნის ნაკრებს შორის საუკეთესო შედეგი აჩვენა. ირაკლი ცირეკიძის გაწვრთნილმა გუნდმა შეჯიბრება ოთხი მედლით დაასრულა.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ვაჟა მარგველაშვილი (66 კგ) და ბექა ღვინიაშვილი (90) ავიდნენ. ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) კი მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ევროპის ჩემპიონმა მარგველაშვილმა ფინალურ შეხვედრაში იაპონელ ნორიჰიტო ისოდას დამატებით დროში, ვაზარზე გდებით მოუგო. ღვინიაშვილი ფინალურ შეხვედრაში რუს ჰუსენ ხალმურზაევს დაუპირისპირდა, იპონით სძლია და ოქროს მედალი მოიპოვა. გამარჯვების მომტანი ილეთი ღვინიაშვილმა შეხვედრის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე შეასრულა.

მ. ჟ.

## ლუის ენრიკემ ბარსელონას მწვრთნელის რანგში ესპანეთის ჩემპიონატში მე-100 შეხვედრა ჩაატარა



ბარსელონას მწვრთნელმა ლუის ენრიკემ ბარსელონასთან ერთად ესპანეთის ჩემპიონატში მე-100 შეხვედრა ჩაატარა.

ეს მატჩი მადრიდის ატლეტიკოსთან შეხვედრა იყო, რომელიც ბარსელონამ მოიგო 2:1. ზოგადად ლუის ენრიკეს ძალიან კარგი სტატისტიკა აქვს. 100 ჩატარებული თამაშიდან ბარსელონამ 75 მოიგო, 14 ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ 11 შეხვედრა დათმო.

ლუის ენრიკე ბარსელონას ისტორიაში მე-8 მწვრთნელი გახდა, ვინც ესპანეთის ჩემპიონატში კატალონიურ გუნდთან ერთად მე-100 შეხვედრა ჩაატარა.

ის ენრიკე ბარსელონაში 2014 წელს მივიდა და ორ წელიწადნახევარში უკვე 8 ტიტულის მოგება შეძლო.

ბ. გ.

## ვილიარეალის პრეზიდენტი: „რეალმა მსაჯები მოისყიდა“

ვილიარეალმა საკუთარ მოედანზე მადრიდის რეალი მიიღო და დამარცხდა ანგარიშით 2:3.

ვილიარეალი 2:0 იგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და საბოლოოდ დამარცხდა.



მეორე გოლი რეალმა პენალტით გაიტანა. ამის გამო ვილიარეალის პრეზიდენტმა ფერნანდო როიგმა განაცხადა, რომ რეალს მუდმივად ეხმარებიან მსაჯები.

— მსაჯები ყოველთვის რეალისთვის საჭირო გადაწყვეტილებას იღებენ და ვფიქრობ, ამაში რეალის ხელმძღვანელობაა გარეული. პენალტი არ იყო და მადრიდელების ქამბექზე საუბარი არ შეიძლება, რადგან პენალტის გარეშე ისინი მოგებას ვერ შეძლებდნენ, — განაცხადა ვილიარეალის პრეზიდენტმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ოფიცრის ჩინი; 2. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული, წითელ წიგნში შეტანილი, კატისებრთა ოჯახის, ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 3. ოპერა „დაისი“-ს პერსონაჟი; 4. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 5. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. საქართველოს განათლების მინისტრი; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ჭაბურღილიდან წყლის, ნავთობის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა. 15. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ერთ-ერთი პირველი ქართული როკ-ჯგუფი; 8. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ძვირფასი თვლების წონის ერთეული; 13. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 14. დაუდუღარი ყურძნის წვენი; 18. ქართველი მხატვარი; 19. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 21. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 22. დაბალი, საამო ხმით მღერა; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი